ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მეუფე იაკობი: მზადდება ილია მეორის ისტორიულ ეპარქიაში – აფხაზეთში ჩაბრძანება



მზადდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის ჩაბრძანება მის ისტორიულ ეპარქიაში — აფხაზეთში, — ამის შესახებ მეუფე იაკობმა გუშინ წმიდა სამების ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

— ალბათ, შორს არ არის დღე, როცა პატრიარქი ლოცვას თავის ისტორიულ ეპარქიაში აღავლენს. უწმიდესს წუხელ ვესაუბრე. მოგეხსენებათ, მას არ უყვარს ქვეყნიდან გასვლა, ძალიან მოენატრა აქაურობა, თუმცა მზადდება უწმიდესის ჩაბრძანება ისტორიულ ეპარქიაში და ამისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი შეხვედრები, — აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მისი თქმით, ილია მეორეს დიდ ბრიტანეთში მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა. პატრიარქი შეხვდა დედოფალს და ეს შეხვედრა იყო ნაყოფიერი. მეუფე იაკობმა მრევლს წმინდა თამარ მეფის ხსენების დღე მიულოცა.

**მედიანიუსი**

ორშაბათი, 14 თებერვალი, 2011 №37 (5418) ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალები ხელისუფლებას იოლად არ დათმობენ

გვ.2

## რატომ არიგებს ხელისუფლება ვაუჩერებს

## ცაგარეიშვილმა სააკაშვილს შანსი მისცა



რატომ უნდა გადავიდეს დევნილთა სამინისტრო ფოცხოში

გვ.4

## ვინ არის ყველაზე კორუმპირებული საქართველოში

გვ.7



რომელ ბიუჯეტში წერია სააკაშვილისთვის ეროტიკული მასაჟისტის ჩამოყვანა?

## ქუჩაში თუ გამოვალთ, ამერიკა სააკაშვილს მხარს აღარ დაუჭერს

გვ.5



ნაციონალებს 33 ძირმაგარა უნდა ამოუყვიდეთ ერთ ადგილას და მერე ვნახავთ, როგორ დასხდებიან თავიანთ სავარძლებში

## სკანდალი მხატვართა კავშირში

გვ.6



როგორ გახდა გია ბუღა ე მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

## თურქეთთან სასაზღვრო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდება



გვ.3

## ჟურნალისტები და უფლებადამცველები საპროტესტო აქციას გამართავენ

გვ.6





## 3090

### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385


2 აფხაზი ქალები საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფარს სთხოვენ

11 თემურ ფარულავა: „მომავალ წელს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“

5 „დემოკრატიული მოძრაობა“ 20-ლარიანი ენერგოვაუჩერის დარიგების პრინციპს აპროტესტებს

10 არმიამ ქუთაისში რევანში აიღო

# რატომ არიგებს ხელისუფლება ვაუჩერებს

**პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტის წინაშე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ექსპერტები აცხადებენ, რომ სააკაშვილის მხრიდან ეს ძველი სიმღერაა და მას ახალი და საინტერესო არაფერი უთქვამს. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ბევრჯერ ახსენა 2015 წელი და განაცხადა, რომ ამ პერიოდამდე ქვეყანა კრიზისიდან გამოსვლას ვერ შეძლებს. მისი ეს განცხადებაც აბსურდულად მიაჩნია ექსპერტ ირაკლი სესიაშვილს და აცხადებს, რომ სააკაშვილი საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობს.**

**„ახალი თაობა“ ირაკლი სესიაშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ.**

## ნაციონალები ხელისუფლებას იოლად არ დათმობენ



ნონა ცაბა ე

***— ბატონო ირაკლი, როგორ აფასებთ სააკაშვილის გამოსვლას, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?***

— ბოლო რამდენიმე წელია, განსაკუთრებით 2007 წლიდან, ხელისუფლება თავის გამოსვლებში ცდილობს, მოსახლეობას შეუქმნას ილუზიები ძლიერი, მდიდარი და კარგი საქართველოს შესახებ, რომლის ფარგლებში ხელისუფლებას და განსაკუთრებით პრეზიდენტს უწევს ბევრი ტყუილის თქმა. ამ გამოსვლის წინაც, მე ვფიქრობ, გონიერ და ჯანსაღ საზოგადოებას არ ჰქონდა იმის ილუზია, რომ პრეზიდენტი გამოვიდოდა და რეალობაზე ისაუბრებდა ან ტყუილებს თავს აარიდებდა. პრეზიდენტი გამოვიდა და გვითხრა, რომ ყველაზე წარმატებული ქვეყანა ვართ მთელ რეგიონში. თუმცა, თუ რეალურად გადავხედავთ, კარგად ვხვდებით, რომ ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. ახლა რუსეთზე რომ საუბრობდა, რომ რუსეთში მძიმე ვითარებაა, ჩვენი ქართველები, ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთში მიდიან სამუშაოდ, რომ ლუკმაპური იშოვონ. აზერბაიჯანში პენსია 200 დოლარამდეა. მე მესმის, რომ იქ ნავთობია, მაგრამ ყველა შედარება რიგ შემთხვევებში მოკლებულია ობიექტურ რეალობას. რაც შეეხება ძირითად საკითხებს, პრეზიდენტი აქამდე მუდმივად გვპირდებოდა კეთილდღეობასა და კარგ მომავალს. პრეზიდენტი ჩვენს ბედნიერ მომავალს გვიხატავს, არც მეტი, არც ნაკლები, 2015 წლისთვის.

***— პრეზიდენტმა საკმაოდ ბევრჯერ ახსენა 2015 წელი...***

— დიახ. ამას ახსნა ძალიან მარტივი აქვს — ყველაზე მძიმე ჩვენთვის იქნება 2012-2013 წლები, როდესაც არჩევნებია. მძიმე იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ საგარეო ვალის დააფარვა მოგვიწევს, სოციალური და ეკონომიკური კრიზისი ალბათ პიკს მიაღწევს, იმიტომ რომ ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ წლების მანძილზე ინვესტორები, როგორც ასეთი, წითელ წიგნში შეიყვანა, ბიზნესმენები კი საძებარი გახდა, იმიტომ რომ, საქართველოში ბიზნესი თუ არსებობს, არსებობს სახელისუფლებო ბიზნესი. ამ სახელისუფლებო ბიზნესს აქვს, ასე ვთქვათ, ჩრდილოვანი ეკონომიკა. იგივე მსოფლიო ბანკი ღიად საუბრობს, რომ 70% არის ჩრდილოვანი ეკონომიკა, რასაც პრეზიდენტი არ ახსენებს. არ ახსენებს პრეზიდენტი, რომ დემოკრატიის ხარისხით 113-ე ადგილზე ვართ, არ ახსენებს, რომ არამშვიდობიანი გარემოს თვალსაზრისით 148-ე ადგილზე ვართ და ასე შემდეგ. არ ახსენებს, იმიტომ რომ, სხვადასხვა მონაცემით, თუნდ სტატისტიკით მოახდინოს მანიპულირება, რომ როგორმე ძალაუფლება შეინარჩუნოს. მისი ყველა გამოსვლა, მისი მხარდამჭერების, მმართველი პოლიტიკური ძალის გამოსვლა ეყრდნობოდა არა რეალურ ფაქტებს ან ხედვას, არამედ — ტყუილს, რომ როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლებამ ძალაუფლება და, ვინც მათ აკრიტიკებს, რიტორიკული პასუხი გასცეს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ 2015 წელი, იმიტომ რომ 2012-2013 წლებისთვის პრეზიდენტს სურს, წინასწარ პასუხისმგებლობა მოიხსნას იმ მძიმე ვითარების გამო, რომელიც ამ დროისთვის იქნება შექმნილი და უთხრას, ნუ ელით ჩემგან დაპირებებს, მე გითხარით, რომ სამშობლო გაბრწყინდება 2015 წელსო, რაც, რა თქმა უნდა, ისეთივე ტყუილია, როგორც დანარჩენი, რადგან 2012-2013 წლებში თუ ჩვენ კრიზისის პიკს მივაღწევთ, ცხადია, 2015-ში ამ პიკიდან თუ თავი დავაღწიეთ, ისიც კი ბედნიერებად შეიძლება ჩაითვალოს. ცხადია, 2012-2013 წლამდე საქართველოს კიდევ მოუწევს საგარეო ვალის აღება და ეს საგარეო ვალი, საბოლოო ჯამში, ქვეყანას გაკოტრებამდე მიიყვანს.

***— რაც შეეხება საგარეო ვალს და არსებულ ვითარებას, როგორია ის?***

— პრეზიდენტი ხშირად ახსენებს, გზები უნდა გავიყვანო 2015 წლამდე, ყველა ქალაქის დამაკავშირებელი უნდა იყოს ავტობანი და ასე შემდეგ, მაშინ როდესაც ქვეყნის ეკონომიკას ჰქონდა მართლაც ეკონომიკური ზრდა, საუკეთესო ეკონომიკური ზრდა. იმ პირობებში ქვეყანამ, 7 წლის მანძილზე გაიყვანა 80 კილომეტრი ავტობანი. 7-8 წლის პერიოდში გაიყვანა 80 კილომეტრი და დარჩენილ 3-4 წელიწადში აპირებს კიდევ დამატებით 500-600 კილომეტრის გაყვანას ამ გაქანებულ კრიზისსა და ვალების პირობებში?! სულ რომ ეს ხელისუფლება არ ყოფილიყო და ვალი აგვეღო 4-მილიარდ-ნახევარი, გაცილებით უკეთესი ცხოვრება გვექნებოდა. რაც შეეხება კორუფციას, მან ჩახვაძე ვითომდა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

***— რატომ არ შეეპასუხნენ, ბატონო ირაკლი, რა, ოპოზიციამ არ იცის, რომ ქვეყანაში კორუფციაა?***

— ჩახვაძისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციონერობაში ბევრს ეჭვი ეპარება, მათ შორის, მეც. ამიტომ იყო, რომ პრეზიდენტისგან ქება დაიმსახურა, კარგი ოპოზიციონერი ხარო. კორუფციას რაც შეეხება, მარტო რად ღირს ის, რომ პრეზიდენტის სასახლე რა დაჯდა, გასაიდუმლოებულია. ეს უკვე კორუფციაა. თუნდ მონოპოლიის საკითხი ავიღოთ. თბილისის მერიამ სულ რამდენიმე ხნის წინ ჩაატარა ტენდერი თბილისის ე.წ. მარშრუტკების მომსახურების შესახებ და თინა ხიდაშელმა გამოიტანა სამსჯავროზე ხუთი კომპანიის რეგისტრაციის მონაცემები. ეს ხუთივე ორგანიზაცია იყო ერთიმეორის მიყოლებით დარეგისტრირებული ერთ ნოტარიუსთან და ერთ წუთსა და წამს ჰქონდათ ყველაფერი შეტანილი. ამაზე მეტი ფარსი რაღა უნდა იყოს. ეს არის სწორედ ის, რასაც ჰქვია მონოპოლია და გაყალბებით წარმოდგენილი ვითომდა 4-5 კომპანია. ჩვენ რომ საქმე გვაქვს მონოპოლისტთან, მგონი, დღეს ამაზე არავინ დავობს. ისევ კორუფციას დავუბრუნდეთ. ჩვენს საზოგადოებაში ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, რომ მილიონებისა და მილიარდების მფლობელები არიან დღევანდელი ხელისუფლება და ჩვენ მართლაც გვიჭირს, რომ ფაქტებით დავამტკიცოთ ეს ყველაფერი, იმიტომ რომ ყველა ის სადავე, რითაც შეიძლება კორუფციული ფაქტები დადგინდეს, უპყრია ხელისუფლებას. თუ პრეზიდენტს სურს, ეს ელიტური კორუფცია თავად მას დავანახვოთ, რომელმაც თავი გამოიდო, აბა, რომელია, ხელი დაადეო, ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, ნებისმიერ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას მისცეს სამართლებრივად იმის უფლება, რომ ეს ფაქტები გამოიძიოს, თუნდაც კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დანიშნოს რომელიმე ოპოზიციონერი, რომელსაც რეალურად აქვს ოპოზიციონერის იმიჯი და, მერწმუნეთ, აღმოჩნდება, რომ 99% იქნება კორუფციაში გარეული. ასე რომ, თუ პრეზიდენტს სურს დაინახოს, ვინ არის ე.წ. ელიტურ კორუფციაში გარეული, როდესაც თქვა, თუ გინდათ, ჩემგან დაიწყეთო. სწორედ მისგან დავიწყებთ, თუ ამის საშუალება მიეცემა რომელიმე ობიექტურ ორგანიზაციას. ყველამ კარგად ვიცით, ნუგზარ შევარდნაძეს რომ ახსენებს, პრეზიდენტის ძმა რით არის დაკავებული. ყველამ კარგად ვიცით, სხვადასხვა სატელეფონო მობილური კომპანიები ვის უპყრია. ყველამ კარგად ვიცით, ბენზინის, შაქრის, ფქვილის ბიზნესი ვის ხელშია. აღარ ვსაუბრობ სამშენებლო კომპანიებზე, აღარ ვსაუბრობ ფარმაცევტულ კომპანიებზე. რა ვიცი, კიდევ რა შეიძლება იყოს, სატრანსპორტო კომპანიებზე, რომელიც მთლიანად ერთ-ერთ სახელისუფლებო კაცს უპყრია ხელთ. თუ მონოპოლიებზე ვსაუბრობთ, იგივე შეეხება სათამაშო ბიზნესს, ლოტოსა და მის მსგავს ელემენტებს.

***— ინფორმაციაც მათ ხელშია და კორუფციაც?***

— ასეა. ასევე ჩვენი ჩინოვნიკები ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარ გვარდიულ პარტიას აფინანსებენ. უხდიან ე.წ. კოორდინატორებს ხელფასებს, დადიან საზღვარგარეთ და ფეშენებელურ სასტუმროებში საპრეზიდენტო ნომრებს იღებენ. ეს ის თემაა, რომელიც უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა, ჩვენი მხრიდან ეს არის ჭორაობა. თუ პრეზიდენტს მართლაც სურს, რომ ვიღაცამ თითი დაადოს მას და რეალურად რაც ხდება, დაანახვოს, რომ ამბობს, იუსტიციის მინისტრი ვიყავიო და კონკრეტულ გვარებს ვასახელებდიო, იმიტომ ასახელებდა, რომ მონაცემები ჰქონდა და ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ ინფორმაციაზე. იმიტომ არის, ხელისუფლებას რომ ეშინია, სხვა პოლიტიკური ძალა ფლობდეს რაიმე მაღალ თანამდებობას ხელისუფლებაში, იმიტომ რომ იქიდან ძალიან ბევრი რამე გამოაშკარავდება. ხელისუფლებას დღეს 100%-ით უპყრია ძალაუფლება.

***— საუბარია იმის შესახებ, რომ სააკაშვილს ძალიან აშინებს ეგვიპტეში განვითარებული პროცესები და ეშინია, მუბარაქის ბედი არ გაიზიაროს...***

— მუბარაქი იყო კლასიკური დიქტატორი, რომელიც 30 წლის განმავლობაში ერთი პოლიტიკური ძალით მართავდა ქვეყანას. სააკაშვილმა თქვა, შევარდნაძე იყო ასეთი, 30 წელი მართავდა ქვეყანასო. არც ჩვენი ხელისუფლებაა შორს მაგ სურვილისა და იდეისგან, როცა იგივე სინგაპურის მაგალითები მოჰყავს, რომ იქ ერთი პოლიტიკური ძალა რამდენიმე ათწლეულია მართავს ქვეყანას და ასე შემდეგ. საერთო შეჯამება რომ მოვახდინოთ, ხელისუფლება რომ არ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ, ეს სააკაშვილმა ჩემზე და თქვენზე უკეთესად იცის. ხელისუფლება რომ ქვეყანას უმძიმესი კრიზისაკენ მიაქანებს, ესეც ძალიან კარგად იციან. ისიც კარგად იციან, რომ მუდმივად მოსახლეობას ატყუებენ, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მოსახლეობა რამდენად რეაგირებს ამ ტყუილებზე და რა რეაქცია ექნება. თუ 2012-2013 წლებში ჩვენმა მოსახლეობამ ისევ აიღო 50-ლარიანი ვაუჩერი, გახდა კოორდინატორი და აიღო 350 ლარი ხელფასი 2-3 თვე, 100-100 ლარი ჩამოურიგეს თავიანთ ამომრჩევლებს, ისევ წავიდნენ და ხმა მისცეს ამ ხელისუფლებას, მაშინ პრობლემა ყოფილა არა პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის დიქტატურაში, არამედ ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც მზად არის, საკუთარი სამშობლო მიჰყიდოს იმ ძალას, რომელიც ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებს.

***— სხვათა შორის, დაიწყო პრეზიდენტმა ამ ვაუჩერების დარიგება, ჯერ 20-ლარიანი, შემდეგ 30-ლარიანს დავურიგებთ მოსახლეობასო. რის მიღწევას ცდილობს ამით პრეზიდენტი?***

— ეს ყველაფერი რიგდება იმის გამო, რომ, თქვენი თქმის არ იყოს, ჩვენს ქვეყანაში ეგვიპტის მოვლენები არ გამეორდეს. რასაც გირიგებენ, ჩათვალეთ, რომ იმასაც ფაქტობრივად წართმეულს გირიგებენ, წართმეულის ნაწილს. არჩევნებამდე ამ ადამიანებს ბოლომდე გამოწველიან, რაც დარჩათ და მერე ადგებიან და არჩევნებისთვის დაიწყებენ სახელმწიფო რესურსის გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის. ამით შეეცდებიან, საკუთარი ძალაუფლება შეინარჩუნონ. ბოლოს, ადრე თუ გვიან, ყელში რომ ამოუვათ, გეტყვიან, ხო დიქტატურაა და შეეგუეთ ამ დიქტატურასო. სულ რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენი ხელისუფლება ამერიკულ ლობისტურ კომპანიებს უხდის მილიონებს იმისათვის, რომ ამერიკაში კარგი იმიჯი ჰქონდეთ ჩვენს ხელისუფლებასა და პრეზიდენტს. ჩვენი პრეზიდენტი გზავნის ავღანეთში ათას ჯარისკაცს და დამატებასაც აპირებს, რომ დასავლეთის ქვეყნები მადლიერები იყვნენ იმის გამო, რომ მათი მოქალაქეები არ მიდიან სასიკვდილოდ ავღანეთში და იქ სამაგიეროდ ჩვენი ჯარისკაცები მიდიან. ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდეს დასავლეთისგან. სააკაშვილმა იცის, დასავლეთის მხარდაჭერა თუ არ ექნება, აქ ქართველი საზოგადოება უფრო მოტივირებული იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ მუბარაქსაც წითელ ხალიჩებს უგებდნენ თეთრ სახლში და, როცა მუბარაქს რეალურად ხალხი დაუპირისპირდა, თეთრმა სახლმა თქვა, მუბარაქი უნდა წავიდესო. დარწმუნებული ვარ, თეთრ სახლში დღესაც დიდი სურვილი აქვთ, სააკაშვილი წავიდეს. უბრალოდ, სამწუხაროდ, ვერ ხედავენ იმ ძალას, რომელიც ქვეყნის მართვას შეძლებს. სააკაშვილმა იცის, თუ აგორდა მოტივირებული და ძლიერი საპროტესტო აქციები, ეს ყველაფერი შეიძლება უარესადაც კი დამთავრდეს, იმიტომ რომ მუბარაქი მაინც 82 წლის კაცია და ამჯობინა, გასცლოდა სიტუაციას, როგორც თავის დროზე — შევარდნაძე. სააკაშვილი კი ასე მარტივად არ დანებდება, იმიტომ რომ სააკაშვილის გარშემო ახალგაზრდას და ჯან-ღონით სავსე, ძალაუფლებაზე შეყვარებული და დიდი კომფორტითა და ფუფუნებით გამძღარი მთელი არმია ეხვევა გარს, რომლებიც, როგორც გივი თარგამაძე იტყოდა ხოლმე, ასე მარტივად არ დაუშვებენ ხალხის ნების რეალიზებას.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ 2012-2013 წლები კრიზისული იქნება ქვეყნისთვის. ამ პერიოდში ხომ არ უნდა ველოდეთ იმ პროცესებს, რაც ეგვიპტეში მოხდა?***

— ეს ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენი მოსახლეობის კულტურაზე და იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ასევე პოლიტიკური სპექტრი საკუთარი ამბიციების მოთოკვასა და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას.

## აფხაზი ქალები საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფარს სთხოვენ

აფხაზი ეროვნების ქალები საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფარს სთხოვენ.

ერთ-ერთი მრავალშვილიან ოჯახს, რომელიც გუდაუთის რაიონის სოფელ დურებში რუსული სამხედრო ბაზის სიახლოვეს ცხოვრობდა, ოკუპანტებმა ტერიტორიის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვეს, რის გამოც ოჯახმა გადაწყვიტა დახმარებისთვის საქართველოს ხელისუფლებისთვის მიემართა. თუმცა ოკუპირებული ტერიტორიის დატოვება ოჯახის მხოლოდ ორმა წევრმა შეძლო, დანარჩენები ე.წ. საზღვარზე დააკავეს.

— გუდაუთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებმა აფხაზი ეროვნების ქალბატონებმა მოგვმართეს თავშესაფარი თხოვნით. მათ ყველაფერი წაართვეს რუსული საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებმა. მათ არა აქვთ სათანადო პირობები იმისათვის, რომ გააგრძელონ იქ ცხოვრება. ისინი ჩვენგან თავშესაფრის მოლოდინში არიან. ერთ-ერთი ქალბატონი რვა თვის ფეხმძიმეა, — განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თორნიკე კილანავამ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თურქეთთან სასაზღვრო მიმოსვლა კიდევ უფრო გამარტივდება



ნათია ხურცილავა

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ დავით ოღლუ იმყოფებოდა. თურქეთის პირველმა დიპლომატმა შეხვედრები ბათუმში დაიწყო. ლევან ვარშალომიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ქართევლ კოლეგას შეხვდა, მოგვიანებით კი — საქართევლოს პრეზიდენტს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ქართველ კოლეგასთან, გრიგოლ ვაშაძესთან მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

შეხვედრის შემდეგ პრესისთვის პრესკონფერენცია გაიმართა.

მოლაპარაკების მაგიდასათნ თურქეთ-საქართველოს მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდათ განსახილველი. თუმცა, ამ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების აღდგენის საკითხია.

თურქული მხარე სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მეჩეთის აღდგენას ითხოვს.

პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელია. როგორც მინისტრებმა განაცხადეს, ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და ის მოლაპარაკების სტადიაშია.

მოლაპარაკების შემდეგ პრესას ვაშაძემ განუცხადა, რომ მოლაპარაკებების პირველი ნაწილი დასრულდა და მათ მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

ორი ქვეყნის პირველი დიპლომატების მოლაპარაკებების შემდეგ გაირკვა, რომ თურქეთსა და საქართველოს საზღვარს მოქალაქეები პირადობის მოწმობით გადალახავენ.

ცნობილი გახდა, რომ ახალი სასაზღვრო გამშვები პუნქტები გაიხსნება.

— ბატონშნმა მინისტრმა მოინახულა ბათუმი, ვიზიტი ბათუმიდან დაიწყო, ის შეხვდა თურქ ბიზნესმენებს. მოლაპარაკებების პირველი ნაწილი დასრულდა, გავიარეთ მნიშვნელოვანი ორმხრივი საკითხები. ვილაპარაკეთ იმ საკითხებზე, რაც თურქეთს და საქართველოს აინტერესებს ერთობლივ საზღვართან დაკავშირებით, როგორ უნდა გავამარტივოთ კიდევ უფრო ჩვენი მოქალაქეებისთვის ამ საზღვრის გადაკვეთა. საუბარია ახალ სასაზღვრო პუნქტების გახსნაზე, ასევე იმ ნებართვაზე, რომ საქართველოს და თურქეთის მოქალაქეებმა საზღვარი გადაკვეთონ პირადობის მოწმობის წარდგენის საშუალებით, პასპორტის გარეშე. — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით მოლაპარაკებების მეორე ეტაპი შეეხება რეგიონალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

— ასევე ვისაუბრეთ იმ ეკონომიკურ პროექტებზე, რომელიც საქართველოს და თურქეთის მონაწილეობის ხორციელდება. ასევე ვისაუბრეთ ჩვენი მოქმედებების, ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯების კოორდინაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციებში. ჩვენი მოლაპარაკებები გაგრძელდება, წინ გვაქვს საუბარი რეგიონალური უსაფრთხოებაზე და სტაბილურობაზე, იმ გამოწვევებზე, რაც თურქეთის და საქართველოს წინაშეა. — აღნიშნა ვაშაძემ.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის არსებობს შეთანხმება, რომ ისინი წელიწადში ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და ორი ქვეყნისთვის მნივშნელოვან და პრობლემატურ საკითხებს განიხილავენ.

აღნიშნული პირობა გაიხსენა ახმედ ოღლუმ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, ის აღნიშნავს, რომ დადებულ პირობას პირნათლად ასრულებს.

— ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ ძალიან დიდ სტუმართმოყვარეობას საქართევლოს მხრიდან. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ ვასრულებთ ჩვენს სიტყვას, რომელიც დადებული გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ წელიწადში ორჯერ შევხვდეთ ერთმანეთს. გასულ წელს ჩვენ შევხვდი ერთმანეთს თურქეთში და საქართველოში. თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების დონე განსაზღვრავს ჩვენი შეხვედრების ამ ინტენსიობას. ჩემი ვიზიტი დავიწყე ბათუმში, შევხვდი ბატონ ლევან ვარშალომიძეს. მინდა გაგიზიაროთ ჩემი აღფრთოვანება იმაზე, რაც ბათუმში ვიხილე, თავად გავხდი იმის მოწმე, რომ ბათუმი მართლაც გახდა შავი ზღვისა და ევრაზიის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქალაქი. მინდა მოგილოცოთ ასეთი წინსვლა ქართველებს, პრეზიდენტ სააკაშვილს. ჩვენ გვაქვს ტრადიცია, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, სასიამოვნო ამბებს ვახარებთ საზოგადოებას. — განაცხადა შეხვედრის დსარულების შემდეგ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ახმედ ოღლუმ თურქეთის და საქართველოს მოქალაქეების მიერ მხოლოდ პირადობის მოწმობით საზღვრის გადაკვეთაზე ისაუბრა.

— პირველი და უმთავრესი საკითხი არის ის, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მიმოსვლა შესაძლებელი იქნება პირადობის მოწმობით და ამ მიმართულებით უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა. მეორე საკითხი ეხება, სასაზღვრო რეგიონებს. ასევე კარწახის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის დასრულებით ჩვენ გავაადვილებთ საზღრის გადაკვეთას მოქალაქეებისთვის. საკმაოდ ბევრი სასაზღვრო-გამშვები პუნქტების აშენებას უზრუნველვყოფთ. სარფში გადასვლისას იქნება ერთი ფანჯრის პრინციპი, რომელიც უფრო ხელს შეუწყობს მიმოსვლას. ეს პრაქტიკა ძალიან იშვიათად გვხვდება სხვადასხვა ქვეყნებში. ძალიან სერიოზული წინსვლა გვექნება ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით. მეხუთე საკითხი, რაზეც იყო საუბარი, შეეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განხორციელების საკითხს. ამ ხუთი საკითხის განსახორციელებლად დავთქვით ვადა, დაახლოებით მაისი-ივნისის ვადაში. ასევე განვიხილეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის რეგიონალური საკითხები, ბაქო-ნაბუკოს საკითხი. ბოლოს ვისაუბრეთ საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში ჩვენი ურთიერთმხარდაჭერის საკითხებზე, მე დავპირდი ჩემს კოლეგას, რომ მაქსიმალურად მხარდაჭერას აღმოუჩენდი საქართველოს. კვლავაც განვაგრძობთ სხვა საკითხების განხილვას. — განუცხადა ჟურნალისტებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ ოღლუმ.

კითხვაზე, რამდენი მეჩეთის აღდგენაზეა საუბარი საქართველოს ტერიტორიაზე და იქნება თუ არა შესაძლებელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების აღდგენის შემდეგ წირვა-ლოცვის ჩატარება გრიგოლ ვაშაძე ასე პასუხობს:

— ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს თურქეთსა და საქართევლოს მთავრობებს შორის. ამ პროცესის მთავარი მიზანია უპირველეს ყოვლისა, გადავარჩინოთ ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობა. როგორც კი საბოლოო ხელშეკრულება, ტექსტი იქნება შემუშავებული და ტექტი იქნება ხელმოწერილი საზოგადოება პირველი გაიგებს ამას. — განაცხადა ვაშაძემ.

აღნიშნულ კითხვას თურქეთის საგარეო საქმეთა მინსიტრმა შემდეგი პასუხი გასცა:

— ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობის სფეროა, რადგან ჩვენ ძირძველი, საერთო ისტორია გვაქვს. თურქეთში არსებული ისტორიული ეკლესიები, ასევე არის თურქეთის კულტურული მემკვიდრეობა. მათ რესტავრაციასთან დაკავშირებით სამუშაოებს ისედაც შევასრულებთ. ასევე საქართველოში არსებული კულტურული ძეგლებიც არის ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობა და ის საქართველოს კუთვნილებაა. განსაკუთრებით ეს შეეხება აჭარის რეგიონს და ბათუმს. ასევე ამ რეგიონში არის მუსულმანი მოსახლეობა. ეს არის ურთიერთთანამშრომლობის და მეზობლობის კარგი ნიმუში და ეს პოზიტიურად უნდა იქნეს შეფასებული და განხილული. ვიმედოვნებ, რომ მომავალში კულტურული მემკვიდრეობის სფეროშიც კარგად ვითანამშრომლებთ. ეს არ არის ორი ქვეყნის ურთერთსაწინააღმდეგო საკითხი, ეს არის საკითხი, რომელიც ორი ქვეყნის გამაერთიანებელი პოზიტიური საკითხია. — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გრიგოლ ვაშაძემ დასძინა, რომ დავაგვიანეთ, რადგან მოლაპარაკებები უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, რომ კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ერთდროულად ეკუთვნის საქართველოს და თურქეთს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჟურნალისტებმა ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენების შეფასებაც სთხოვეს.

როგორი პოზიცია აქვს თურქეთს ეგვიპტის და ტუნისის ისლამურ პარტიებთან და როგორ აფასებს თურქეთი იქ მიმდინარე პროცესებს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეგვიპტეში და ტუნისში მიმდინარე პროცესებს ისტორიულს უწოდებს, რადგან შუა აღმოსავლეთში თანამედროვე ფასეულობების დამკვიდრება და შესვლა დადებითი მოვლენაა.

— დემოკრატიულ ცვლილებებს ითხოვს იქაური ხალხი, რაც პატივსაცემია. ჩვენ კავშირები მთელს აღმოსავლეთ სამყაროსთან გვაქვს, როგორც ხალხთან, ასევე ხელისუფლებასთან, კავშირი და კონსულტაციები არ შეგვიწყვეტია და ეს ახლა არ დაწყებულა. ვიმედოვნებ რომ ტუნისი და ეგვიპტე ამ მოვლენებიდან უფრო გაძლიერებული გამოვა და ეს ჩვენს რეგიონსაც გააძლიერებს ამ პროცესში ყველა თავის პოზიტიურ წვლილს შეიტანს. ამ პროცესის წარმატებას უზრუნველყოფს როგორც შიდა მოთამაშეების, ასევე საერთაშორისო მოთამაშეების პოზიტიური წვლილი, რომელიც ვიმედოვნებ იქნება, — განაცხადა ახმედ ოღლუმ.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუმბათთან“ ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის“ ახალი ტომი
14 თებერვლიდან გაიყიდება მე-8 ტომი



ჟურნალი წიგნთან ერთად 3 ლარი ღირს

## სახალხო კრებამ წინააღმდეგობის კომიტეტები გურიასა და აჭარაშიც დააფუძნა

11 თებერვალსწარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ წინააღმდეგობის კომიტეტები ლანჩხუთსა და ფოთში დააფუძნა. სახალხო წარმომადგენლობითი კრების წინააღმდეგობის კომიტეტების დაფუძნებას აღმასრულებელი საბჭოს წევრები ნონა გაფრინდაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ლუკა კურტანიძე, სახალხო კრების სათათბირო დარბაზის წევრი გურამ ფირცხალავა, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ხელმძღვანელი თემურ შაშიაშვილი ეწრებოდნენ.

საერთო გადაწყვეტილებით, სახალხო კრების ლანჩხუთის რაიონულ ორგანიზაციას გიორგი გურგენაძე, ხოლო ფოთის წინააღმდეგობის კომიტეტს სევერიან შენგელია უხელმძღვანელებენ. 12 თებერვალს კი სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ ბათუმში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში წინააღმდეგობის კომიტეტები დააფუძნა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო წარმომადგენლობითი კრებიდან აცნობეს, ღონისძიებას სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი ბათიაშვილი, ლუკა კურტანიძე, გურამ ფირცხალავა და პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ესწრებოდნენ.

სახალხო წარმომადგენლობითი კრების წინააღმდეგობის ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელად დიმიტრი ჭეიშვილი, ხელვაჩაურის კომიტეტის ხელმძღვანელად ციალა სურმანიძე, ქობულეთის კომიტეტის ხელმძღვანელად კი, რომან ჩხაიძე აირჩიეს. ამასთან, სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ ბათუმში, აჭარის რეგიონის სათათბირო დარბაზიც დააფუძნა, რომელსაც ვახტანგ ახვლედიანი უხელმძღვანელებს.

ქვეყანაში უკვე ფუნქციონირებს 26 წინააღმდეგობის კომიტეტი. სახალხო წარმომადგენლობითი კრება აღნიშნული კომიტეტების დაფუძნებას უახლოეს პერიოდში ქვეყნის ყველა რეგიონში გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

## პატიმრობის ალტერნატივასთან დაკავშირებული პროექტის განხილვა გაიმართება

დღეს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ განიხილავენ ახალ პროექტს „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა“.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი მიზნად ისახავს სასჯელის მოხდის ალტერნატიული საშუალების შეთავაზებას იმ პირებისთვის, რომელთაც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ, არ აქვთ გირაოს გადახდის შესაძლებლობა და ამავდროულად საზოგადოებისათვის პოტენციურ საფრთხეს არ წარმოადგენენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ სასჯელაღსრულების სამინისტროდან.

შეხვედრას გახსნიან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე.

**მედიანიუსი**

# ცაგარეიშვილმა სააკაშვილს შანსი მისცა

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიციამ უმრავლესობას ნერვები აუშალა. უმრავლესობამ ოპოზიცია არაკომპეტენტურობაში ამხილა და თან საშინაო დავალებაც მისცა, რათა მომავალი წლისთვის უფრო უკეთ მოემზადოს.**

**გასულ კვირას პარლამენტში ოპოზიცია და უმრავლესობა მოსახლეობის გულის მოგებას საკუთარი მეთოდები ცდილობდნენ. ოპოზიციამ პრეზიდენტის პარლამენტში ყოფნით ისარგებლა და ხელისუფლების კრიტიკა არ დაიშურა. უმრავლესობამ კი ოპოზიციას წარსული გაუხსენა, კვალიფიკაცია დაუწუნა და მონაცემების სათანადო კონტექსტში გამოყენება ასწავლა.**

სანამ დებატები დაიწყებოდა, პრეზიდენტმა პარლამენტს რამდენიმე ახალი გადაწყვეტილება გააცნო. ამ გადაწყვეტილებებიდან ერთი-ორი საკითხი ოპოზიციას მოეწონა, თუმცა, გადადგმული ნაბიჯები მაინც დაგვიანებულად მიიჩნია. მაგალითად, სოფლის მეურნეობის დაფინანსების 150 მილიონი ლარით გაზრდა, ოპოზიციის აზრით, კარგია, თუმცა, დაგვიანებულია.

პრეზიდენტმა მოსახლეობას ისიც ამცნო, რომ მარტიდან საქართველოს ყველა ოჯახი 30 ლარს მიიღებს. მუდმივი საცხოვრებლის მიხედვით, მოსახლეობას 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერი დაურიგდება.

— ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეგიძლიათ ბანკში გაანაღდოთ და ამის ნაცვლად აიღოთ პირდაპირ 30 ლარი. ვაუჩერის ყველა მფლობელს საშუალება ექნება, სხვა ოჯახს დაუთმოს ვაუჩერი, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მოსახლეობა 20-ლარიან ენერგოვაუჩერს ამ თვეში მიიღებს, მომავალი თვიდან კი — 30-ლარიან სასურსათო ვაუჩერს. ეს ფაქტი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა გაჭირვებულ მოსახლეობაზე სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვად შეაფასეს, თუმცა, ოპოზიციას ამ საკითხზეც საკუთარი შეხედულებები აქვს.

პრეზიდენტმა თავისი გამოსვლის დასაწყისში იმ თემებზე ისაუბრა, რაზეც ოპოზიცია გეგმავდა მწვავე განცხადებების გაკეთებას. ეს საკითხებია: ინფლაცია, პროდუქტებზე ფასების ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარება. სააკაშვილის გამოსვლის ეს ნაწილი რამდენიმე ოპოზიციონერ დეპუტატს ოპოზიციონერი ლიდერის გამოსვლადაც კი მოეჩვენა.

— ჩვენ სოფელს ვერ მივატოვებთ, სურსათის მსოფლიო ფასებზე დამოკიდებულების შესამცირებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების განვითარება. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო ბიზნესთან პარტნიორობის პრინციპით უფრო აქტიურად ჩაერთოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა უმუშევრობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ არაფერი არ ჩაითვლება წარმატებად, ვიდრე წელში არ გავტეხთ უმუშევრობას.

— უმუშევრობაა დღეს ჩვენი განვითარების მთავარი შემაფერხებელი. უმუშევრობა არის მიზეზი, რომელიც აათმაგებს ფასების ზრდის შედეგად მიღებულ ტკივილს. უმუშევრობა არის ის, რაც კლავს სიცოცხლის ხალისს და ხვალინდელი დღის იმედს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის ამ განცხადების მოსმენის შემდეგ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ პრეზიდენტს სოფლის მეურნეობის განვითარების რეალურ გეგმას შესთავაზებს, რომელიც მისმა პარტიამ მოამზადა. ეს გეგმა ბაღათურიას პრეზიდენტისთვის არ გაუცვნია. თავის ხელმეორედ გამოსვლის დროს სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ბაღათურია 4 დღის განმავლობაში ამბობდა, თითქოს სოფლის მეურნეობის შესახებ ინიციატივას გააცნობდა, მაგრამ ეს გეგმა არ წარმოუდგენია.



## რატომ უნდა გადავიდეს დევნილთა სამინისტრო ფოცხოში

თითქმის ყველა ოპოზიციონერი წინასწარ ამბობდა, რომ დევნილების თემას შეეხებოდა. დევნილების განთავსების საკითხზე პრეზიდენტმა ისაუბრა. სააკაშვილის განცხადებით, დროებითი თავშესაფარის ნაცვლად, დევნილების კერძო საკუთრებაში არსებულ ბინებში განსახლება მიმდინარეობს.

— უკვე 25 ათასამდე დევნილი ცხოვრობს საკუთარ ბინაში, გააჩნია საკუთარი კარ-მიდამო, აქვს ქონება, რომელიც მისი საკუთრებაა, ნაცვლად ფართისა, სადაც ის დროებით იყო შეხიზნული, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ეს ზღვაში წვეთია და დევნილი მოსახლეობისთვის გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

ოპოზიციის წარმომადგენლების შეფასებები დევნილთა თბილისიდან გამოსახლებასთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე იყო. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა, რომელმაც ხელისუფლება გამრუდებულ სარკეში ყურების გამო „ამხილა“, პრეზიდენტს უთხრა, ერთხელ მაინც ავიდეს ფოცხო-ეწერში და ნახოს დევნილი ოჯახების მდგომარეობა.

— გაიჭირვეთ ერთხელ, ადით ამ ფოცხო-ეწერში და ნახეთ, რისთვის გაწირეთ დევნილები და მათი მცირეწლოვანი ბავშვები, ნახეთ ერთი, რას უპირებთ კიდევ სამას ოჯახს, რომელსაც იქ გადასახლება აქვს მისჯილი. ნახეთ და, თქვენ თუ ეგ გამრუდებული სარკე თავად არ შემოგემსხვრათ ხელში, მე ბოდიშს მოვიხდი, — მიმართა გიორგი ახვლედიანმა მიხეილ სააკაშვილს.

ახვლედიანმა არც დევნილთა სამინისტროს მიმართ კრიტიკა დაიშურა. მისი შეფასებით, დევნილთა სამინისტროს გორში გადაბარგება მათთვის დიდი კომფორტი იქნება.

— იქნებ სამინისტროს ფოცხოში გადატანაზე გეზრუნათ, ადამიანებთან ურთიერთობას მაინც ისწავლიდა თქვენი ზოგიერთი ჩინოვნიკი, დევნილებს ფიზიკურ შეურაცხყოფას მაინც აღარ მიაყენებდნენ, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ფრაქციის თავმჯდომარემ პრეზიდენტს დევნილებისთვის გაუქმებულ ეკონომიკურ შეღავათებზეც მიუთითა და მათ სიდუხჭირეზეც.

— აბა, სცადეთ და იცხოვრეთ ერთი დღე ფოცხოში უფულოდ, უშუქოდ, უშეშოდ და მერე მოგვიყევით იმის შესახებ, შვეიცარია ჩვენზე წინაა რეიტინგებში თუ უკან. არაა გამორიცხული, ბატონო მიხეილ, რომ უცებ ისიც გაგახსენდეთ, რომ დევნილებს ლომის წილი უდევთ იმაში, რომ ხელისუფლებაში ხართ, — ასე მიმართა ახვლედიანმა პრეზიდენტს.

დევნილების საკითხს ვიცე-სპიკერი პაატა დავითაიაც შეეხო. მისი თქმით, გამოსახლების დროს ის მიდგომა, რაც დევნილთა მიმართ ხორციელდება, მიუღებელია. დავითაიამ ლტოლვილთა სამინისტროს წინ დევნილის — ნანა ფიფიას მიერ თავის დაწვაზეც ისაუბრა და გამოძიების საკითხის ბოლომდე მიყვანა მოითხოვა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ოპოზიციამ მწვავე განცხადება გააკეთა, ვეტერანებს შეეხება. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა პრეზიდენტს უთხრა, რომ ქვეყნის ყველაზე დამსახურებულ ადამიანებს, ვეტერანებს, უსამართლოდ ექცევიან და მათ ის მინიმალური შეღავათები აღარ აქვთ, რაც ადრე ჰქონდათ.

გიორგი ახვლედიანი 3 იანვარს გმირთა მოედანზე ვეტერანთა აქციის დაშლის ფაქტსაც შეეხო.

— თქვენი პასუხი მთელმა ქვეყანამ სამ იანვარს გმირთა მოედანზე უკვე ნახა. როგორ გაბედეს თურმე თქვენ მიერ შექმნილ სინგაპურში ვეტერანებმა პროტესტის გამოხატვა და თან თქვენ მიერ შექმნილი მემორიალის წინ. თუმცა, ასევე მთელმა ქვეყანამ შესანიშნავად ნახა, რომ ბრალდებები და ამ ძალადობის გამართლება თითქოსდა ვიღაცამ იქ რაღაც წაბილწა, სრულიად უსაფუძვლო იყო და დაემსგავსა თავის მართლებას აღშფოთებული უცხოური ორგანიზაციების წინაშე. მერწმუნეთ, რომ არა თქვენი ეს გამრუდებული სარკე, დემოკრატიის შუქურად მონათლული პოლიტიკოსი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდით, — უთხრა ახვლედიანმა პრეზიდენტს.

გამრუდებულ სარკეებზე საუბრის შემდეგ უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა ახვლედიანს გამრუდებული სარკეების დიდი სპეციალისტი უწოდა.

უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით, შარშანწინ ახვლედიანი და ქრისტიან-დემოკრატები გველებითა და კომბალებით გვაშინებდნენ, შარშან — ავატარით, წელს კი ზღაპრების სამყაროში შევიდნენ და გამრუდებული სარკეებით საუბრობენ.

ოპოზიციას არც კორუფცია დავიწყებია. ამ საკითხზე ედპ-ის წევრმა გურამ ჩახვაძემ დაიწყო საუბარი და გიორგი თარგამაძემ დაამთავრა.

გურამ ჩახვაძის განცხადებით, რუსეთთან ერთად ქართული სახელმწიფოს უპირველესი მტერი ქვეყანაში არსებული სოციალური უთანასწორობა და ელიტური კორუფციაა.

— სოციალური უთანასწორობა და ელიტური კორუფცია აღიარებულ უნდა იქნეს ნაციონალური მნიშვნელობის პრობლემად, რომლის მოგვარება ვერ დაელოდება მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს, — მიაჩნია გურამ ჩახვაძეს.

პრეზიდენტმა გურამ ჩახვაძეს კონკრეტული კორუმპირებული ჩინოვნიკების დასახელება მოსთხოვა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, როდესაც ის შევარდნაძის ხელისუფლებაში იყო, კონკრეტულად ასახელებდა კორუმპირებულ ჩინოვნიკებს. მაგალითად, თემურ ბასილიას და ასე შემდეგ.

— მთელი პოლიტიკური ელიტა აქ არის, აქ არის პრემიერ-მინისტრი, მინისტრები. დაასახელეთ, რომელი მათგანია კორუმპირებული? — მიმართა მიხეილ სააკაშვილმა გურამ ჩახვაძეს.

ედპ-ის წევრს არც ერთი კორუმპირებული ჩინოვნიკი არ დაუსახელებია და აღნიშნა, მას ხელთ რაიმე დოკუმენტი რომ ჰქონდეს, ამას აუცილებლად იტყოდა. მისივე თქმით, კორუმპირებულ ჩინოვნიკებში იგულისხმებიან ის ჩინოვნიკები, რომელთა დაკავების არაერთი ფაქტი გახმაურდა.

პრეზიდენტმა კი აღნიშნა, რომ კონკრეტული ინფორმაციების გარეშე ელიტური კორუფციის არსებობის შესახებ ბრალდებებს ვერ მიიღებს.

კორუფციის თემას გიორგი თარგამაძეც შეეხო. უმცირესობის ლიდერმა კორუფციული პირამიდის სათავეში მდგომად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაასახელა.

გიორგი თარგამაძის აზრით, მსოფლიოში არსებობს 2 ტიპის კორუფცია: როდესაც თანხა მიდის პირდაპირ ვიღაც-ვიღაცების ჯიბეში და მეორე, როდესაც გადასახადები მიდის ბიუჯეტში, მის ხარჯვაზე კონტროლი კი ვერ ხორციელდება.

— ეს არის კორუფცია, ეს არის იმ ტიპის კორუფცია, რომლის პირამიდის სათავეში დგახართ თქვენ, საქართველოს პრეზიდენტი. ეს არის სწორედ იმ ტიპის კორუფცია, რომლის მეშვეობითაც არანაირი საჯარო ხარჯი საქართველოში არ შეიძლება მიღწეული იყოს, — უთხრა თარგამაძემ მიხეილ სააკაშვილს.

თარგამაძემ ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტს კარგი ვებგვერდი აქვს, სადაც ყველას შეუძლია შევიდეს და დაათვალიეროს პრეზიდენტის ბრწყინვალე სასახლის არქიტექტურა და ის საჩუქრები, რომლებიც პრეზიდენტს გადასცეს, მაგრამ ამ ვებგვერდზე შეუძლებელია პრეზიდენტის ბრძანებულების ნახვა.

— ეს არის კორუფციის ერთ-ერთი ნიშანი, როდესაც ვერავინ იგებს, ეს ფული სად მიდის, როგორ იხარჯება და რას ხმარდება, — უთხრა თარგამაძემ პრეზიდენტს.

ბიუჯეტიდან თანხების გაუმართლებლად ხარჯვაზე ოპოზიციონერმა ჯონდი ბაღათურიამაც ისაუბრა.

— მთავრობამ ზურგი შეაქცია საკუთარ ხალხს და უარს აცხადებს სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე, სამაგიეროდ, ბიუჯეტი უხვად აფინანსებს გასართობ პროგრამებსა და ყოვლად გაუმართლებელ ხარჯებს. მაგალითად, დედაენის ძეგლის მშენებლობაზე მილიონების ხარჯვას ჯობდა, ეს მილიონები დედაენისა და სხვა სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე დაიხარჯოს, — აღნიშნა ბაღათურიამ.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ კი პრეზიდენტს „უკანასკნელი შანსი“ მისცეს. ეს განცხადება გიორგი ცაგარეიშვილმა გააკეთა.

— თქვენ გაქვთ უკანასკნელი შანსი, წახვიდეთ პოლიტიკიდან ისე, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლება შეიცვალოს მშვიდობიანი, დემოკრატიული არჩევნების გზით, — მიმართა ცაგარეიშვილმა პრეზიდენტს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა პრეზიდენტს მოუწოდა: ხელი შეუწყოს საარჩევნო გარემოს თვისობრივ ცვლილებას, გადადგას ნაბიჯი პოლიციის დეპოლიტიზაციის მიმართულებით, გაათავისუფლოს სასამართლო საპროკურორო წნეხისგან, მისცეს მედიას შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გააშუქოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და შეწყდეს ბიზნესის რეკეტი.

ცაგარეიშვილის განცხადებას პრეზიდენტის რეპლიკა მოჰყვა: დიდი მადლობა, ბატონო გია, ყოველ 6 თვეში მამხობდით და ახლა 2013 წლამდე მომეცით ვადა.

ოპოზიციონერი დეპუტატების გამოსვლის დროს პრეზიდენტმა სიტყვა რამდენიმეს შეაწყვეტინა. მაგალითად, ლევან ვეფხვაძეს მიხეილ სააკაშვილმა სიტყვა იმ დროს შეაწყვეტინა, როდესაც დეპუტატი გაზის ფასთან დაკავშირებით საუბრობდა და ამბობდა, რომ ქვეყანას უფრო იაფი გაზი უნდა ჰქონდეს, ვიდრე დღეს აქვს.

პრეზიდენტმა ვეფხვაძეს იმ ქვეყნის დასახელება სთხოვა, სადაც უფრო იაფია გაზი, ვიდრე საქართველოში. მას შემდეგ, რაც ვეფხვაძემ ასეთი ქვეყანა ვერ დაასახელა, პრეზიდენტმა დეპუტატს უთხრა, რომ ფუნდამენტურ ტყუილს ამბობდა.

პრეზიდენტმა დეპუტატებს კიდევ ერთი სიახლე ამცნო. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოში დღემდე არ ხდება ნავთობის გადამუშავება და ეკონომიკა ძირითადად იმპორტირებული ნავთობპროდუქტებით საზრდოობს.

— ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობას, რომელიც 2015 წლისთვის საქართველოში საწვავით მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას და ჭარბი პროდუქციის გატანას იმპორტზე, — აღნიშნა სააკაშვილმა.

რაც შეეხება ენერგეტიკას, სააკაშვილის განმარტებით, 2015 წლისთვის საქართველოში აშენებული იქნება 17 ჰესი, საერთო ჯამში, 717 მგვტ ელექტროენერგიის წარმოებით, ხოლო მშენებარე მდგომარეობაში იქნება 13 ახალი ჰესი.

უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს ციფრებით მანიპულირებისა და მოყვანილი მონაცემების არასწორად წაკითხვის გამოც აკრიტიკებდნენ.

მაგალითად, გოკა გაბაშვილმა ჯონდი ბაღათურიასა და გიორგი ცაგარეიშვილის მიერ მიწოდებული მონაცემები არასწორად მიიჩნია და ოპოზიციას კომპეტენციაც დაუწუნა.

გიორგი თარგამაძემ მთელი თავის გამოსვლა იმ მასალებზე ააგო, რომლებიც პარლამენტში სტენდზე ფურცლების სახით წარმოადგინა. თარგამაძის მიერ მოხსენების დროს მოსროლილი ფურცლები პარლამენტის მანდატურმა აკრიფა. თარგამაძის შედგენილ მონაცემებში პრეზიდენტმა მარკერით არაერთი კორექტივი შეიტანა.

გიორგი თარგამაძემ კრიტიკა მთავრობის მისამართით გამოთქვა და მას ბრმების მთავრობა უწოდა.

— უკეთეს შემთხვევაში, ეს ბრმების მთავრობა ხდება მეხანძრეების მთავრობა, რომელიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აფეთქებული ხანძრის ჩაქრობას ცდილობს, — აღნიშნა თარგამაძემ.

მისივე აზრით, ეკონომიკურ გუნდს რომ გაეთვალა და ვაუჩერების ნაცვლად 20 მილიონი ლარი ზაფხულში მეპურეებისა და ხორბლის იმპორტიორებისთვის იაფი კრედიტის სახით მიეცა, ამ რამდენიმე დღის წინ პური კიდევ 10 თეთრით არ გაძვირდებოდა.

— მე ვარ ქართველი ყოველგვარი მაშასადამეების გარეშე. მე არ მინდა, საქართველო იყოს მხოლოდ ქართველებისთვის, მაგრამ მე მინდა, ყველა ქართველი ვიყოთ საქართველოსთვის, — აღნიშნა თარგამაძემ.

გიორგი თარგამაძის მიერ გაკეთებულმა შეფასებებმა — ჭაობის მეფობაზე, პოლიტიკურ ბარბაროსობაზე, პრიმიტიულ რეპტილიებსა და გლადიატორების მუდმივ ბრძოლაზე უმრავლესობის წევრები აღაშფოთა.

— ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ ან ერთად წავალთ წინ, ან ორმოში ჩავარდნა და თქვენი მუბარაქიზაცია გარდაუვალია. დროა, საქმეს მივხედოთ, თამაშიც დამთავრებულია, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ამის შემდეგ ფურცლები და ასლან აბაშიძისა და ბადრი პატარკაციშვილის ფოტოები გოკა გაბაშვილმა ააფრიალა. ერთ-ერთ ფურცელზე ეწერა: „გადატრიალება“, მეორეზე კი — „წყალი უფასოდ, გაზი — ლევან ვეფხვაძის ფასებში“. მას შემდეგ, რაც გაბაშვილმა თარგამაძისა და სხვა ოპოზიციონერების გამოსვლა დაიწუნა, მათ მომავალი წლისთვის საშინაო დავალებაც მისცა.

გოკა გაბაშვილმა ოპოზიცია არაკომპეტენტურებად და შეურაცხადებად დაყო და „ქრისტიან-დემოკრატები“ არაკომპეტენტურთა რიცხვში მოიხსენია.

ბოლოს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა „ქრისტიან-დემოკრატებს“ რჩევა მისცა: „შემდგომში, ვინც არ უნდა იყოს პრეზიდენტი, ქვეყნის მმართველი, როდესაც პრეზიდენტი ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობს და დარბაზი ფეხზე დგება, თქვენც ადექით“.

# ქუჩაში თუ გამოვალთ, ამერიკა სააკაშვილს მხარს აღარ დაუჭერს

თეა მარხვაი ე

**საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლის შემდეგ ოპოზიციასა და მოსახლეობას ახალი სალაპარაკო გაუჩინა. პრეზიდენტის განცხადებებს მმართველი გუნდი ბედნიერი სახეებით უყურებდა. იმდენად ხარობდნენ, რომ ქვეყნის პირველ პირს სიტყვა ტაშით 33-ჯერ შეაწყვეტინეს.**

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე სააკაშვილის გამოსვლით აღშფოთებულია. უფრო მეტად კი ნაციონალების ტაშის კვრამ დაზაფრა. გაიზიარებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ეგვიპტელი და ტუნისელი კოლეგების ბედს, როგორ უნდა მოიქცეს ხალხი ქუჩაში, რატომ იყო ნაციონალების და სააკაშვილის ქცევა აღმაშფოთებელი, ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— მე პარლამენტში სააკაშვილის გამოსვლის მხოლოდ ბოლო ნაწილს ვუყურე. და მივედი ერთ დასკვნამდე, რომ თუ ამ კაცს პირი არ ამოვუკერეთ, არაფერი არ გვეშველება. ამდენი სიცრუის ქადაგება მე არ მინახავს. ტყუილსაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი. მის ტყუილებს მისი ნაციონალები ბედნიერები შეჰყურებდნენ. პრეზიდენტმა თავის გოშიებს მიმართა და უთხრა: „მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მაგრამ შეიძლება სხვაც შემიყვარდეს. მაშინ თქვენ კი არ გადმოგცემთ ხელისუფლებას, არამედ გადავცემ სხვას“. ერთი გამაგებინეთ, მაგას ვინ ეკითხება, ვის გადასცემს ხელისუფლებას. მემკვიდრეობით აქვს მეფის ტახტი მიღებული და შთამომავალს ტოვებს თუ როგორ არის მისი საქმე. ან რა მემკვიდრის დატოვებაზეა საუბარი, როცა წასვლას არ აპირებს.

— ***რატომ გგონიათ რომ წასვლას არ აპირებს?***

— არაერთხელ გაიჟღერა, რომ მას ხელისუფლებაში დარჩენა სურს. საპრეზიდენტო უფლებამოსილებას რომ ამოწურავს პუტინივით შესაძლოა პრემიერად მოგვევლინოს. კონსტიტუციაში ცვლილებები სწორედ ამიტომაც შეატანინა. ხელისუფლებიდან წასვლა რომ არ სურს, ეს 11 თებერვალს გაკეთებული განცხადებებიდანაც გამოჩნდა. ადრე, როცა მომავალზე საუბრობდა 2013 წლის ფარგლებში ეტეოდა. ახლა უკვე 2015-2016 წლებს მისწვდა და განაცხადა, ამ პერიოდში ყველაფერი ჩემი ინიციატივით გაკეთდებაო. აქამდე რა გააკეთა, რომ მომვალში გააკეთოს. მისი ხელისუფლებაში დარჩენა საქართველოს დაღუპვის ტოლფასია. ის ქვეყანას ანგრევს. პარლამენტის ტრიბუნიდან კი გამოდის და თავს აღმშენებლობით იწონებს. მის სიცრუეს საზღვარი აღარ აქვს.

— ***თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ, რომ მის სივრცეს საზღვარი არა აქვს. ამ გამოსვლისას რა მოიტყუა?***

— მისი ტყუილების ჩამოთვლა შორის წაგვიყვანს. ამიტომაც მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდები. ყველას მოეხსენება, რომ დენი და გაზი ყველაზე ძვირი მთელს ევროპაში საქართველოშია. ეს კიდევ პარლამენტის ტრიბუნიდან გამოვიდა და ამბობს პოსტსაბჭოთა სივრცეში გაზი ყველაზე იაფი ჩვენთან არისო. სინამდვილეში კი ყველაზე ძვირი გაზი ჩვენთანაა. ამის გადამოწმებას ხომ ბევრი არაფერი უნდა. არ შეიძლება ადამიანი და მით უმეტეს, ქვეყნის პირველი პირი ასე ურცხვად იტყუებოდეს. არც იმ განცხადებების გაკეთება შეიძლება, რასაც ეგ უდანაშაულოდ დახვრეტილ ბიჭებთან დაკავშირებით აკეთებს. მას უსაყვედურეს, რომ ქუჩაში ახალგაზრდა ბიჭები ჩაცხრილეს. ჩაცხრილეს ისე, რომ არავის დადგენილი არ ჰქონდა სად მიდიოდნენ ისინი ან რის გაკეთებას აპირებდნენ. ესენი ამტკიცებდნენ კაცის გასაძარცვად მიდიოდნენო. ეს ჯერ დასადგენია. და ასეც რომ ყოფილიყო, ვინ მისცა სამართალდამცავებს მათი ჩაცხრილვის უფლება. ესენი ჯანსაღი აზროვნების ადამიანები არ არიან. მათი არგუმენტები ბიჭების დახვრეტასთან დაკავშირებით ავადმყოფი ადამიანის ნაბოდვარს ჰგავს. სააკაშვილს პირველს უნდა მოეთხოვა ამ დანაშაულის გამოძიება. მან კი პოლიციელები გაამართლა და ამას თავისებური ახსნაც მოუძებნა.

— ***რა ახსნა?***

— მისი განცხადებით, სწორედ ნულოვანი ტოლერანტობის წყალობითაა, რომ დღეს საქართველოში მანქანებს აღარ იპარავენ. ეგ ნულოვანი ტოლერანტობაც მის მიერ არის გამოცხადებული. ამ ნულოვან ტოლერანტობას უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. დადგება დრო და ამათ ყველაფერზე მოუწევთ პასუხისგება. სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რომ ასე თავს გავიდა ეს ჩვენი ბრალიც არის.

— ***ჩვენი ბრალი რატომ არის?***

— ბევრი რამის გამო. მე ამჯერად ერთ მაგალითს მოვიყვანს. აფრასიძეების ისტორია საქართველოში ყველამ კარგად იცის. ყველას კარგად ვიცით, რომ რამდენიმე ადამიანის წინააღმდეგ ხელისუფლებამ 1000 კაცი და უამრავი შეიარაღება გამოიყენა. ამ საშინელებიდან ცოტა ხანში სააკაშვილი გამოვიდა და სიამაყით განაცხავდა, აფრასიძეების დაბომბვის ბრძანება მე გავეციო. ასეთი რამე სად გაგონილა. ათასი კაცით და ათეულობით ვერტმფრენით თავს ესხმი მძინარე ოჯახს. სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოკლეს და დააპატიმრეს. ესეც არ იკამარეს მათზე ათასი სიბინძურეები თქვეს. გვიმტკიცებდნენ, რომ ვითომ ლევან კალაძე მათ ჰყავდათ გატაცებული. მერე ვითომ სამარხიც იპოვეს. ძვლების ამოთხრის ამბავი საქართველოში და განსაკუთრებით სვანეთში კარგად ახსოვთ. სასაფლაო წაბილწეს და მიცვალებულების ძვლები საფლავიდან ამოყარეს, ჩამოიტანეს ზუგდიდში. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს ძვლები ათეულობით წლების წინ გარდაცვლილ ადამიანებს ეკუთვნოდა. როცა მათთვის სასარგებლო პასუხი ვერ მიიღეს, ეს ძვლები უკანვე აიტანეს და უპატრონოდ დაყარეს. ასეთი რამე სად გაგონილა? ჯერ მიცვალებულები ამოთხარეს და მერე მათთვის მიწის მიყრაც არ მოინდომეს. მაშინ ამის გაპროტესტება მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გაყედა. არადა, ეს ისეთი ამბავი იყო მთელი სვანეთი და საქართველო ფეხზე უნდა დამდგარიყო. ჩვენ მაშინ უნდა მოგვეთხოვა სააკაშვილის გადადგომა. მაშინ საქართველომ დუმილი ამჯობინა. ამიტომაცაა, რომ ყველაფერი გასდის. და ასეთ გატუტუცებულ რაღაცებს ლაპარაკობს. მისი განცხადებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მაგრამ მე უფრო სხვა რამემ აღმაშფოთა. აღვშფოთდი, როცა მისი შოშიების აღფრთოვანებული სახეები დავინახე. ისინი აღფრთოვანებული სახეებით შეჰყურებდნენ სააკაშვილის გამოსვლას. და ბელადისთვის რომ ესიამოვნებინათ, გამოსვლა რამდენჯერმე ტაშით შეაწყვეტინეს.

— ***როგორც დაითვალეს ნაციონალებმა, პრეზიდენტს გამოსვლა 33-ჯერ შეაწყვეტინეს ტაშით.***

— 33-ჯერ შეაწყვეტინეს? ბოდიში მომითხოვია და 33 ძირმაგარა ამოუვიდეთ მაგათ ერთ ადგილას. მერე ვნახავ, როგორ დასხდებიან თავის სავარძლებში. ამათ იციან, რომ სააკაშვილი ძალიან მალე წავა.

— ***წავა ვითომ?***

— მის ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ არ წავა. მას აუცილებლად მოუწევს წასვლა. ის, რაც ტუნისში და ეგვიპტეში მოხდა, ბევრი რამის მაჩვენებელია. ახლო აღმოსავლეთში დაწყებული ქარიშხალი საქართველოშიც მოაღწევს. სხვანაირად შეუძლებელია. ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში. ხალხი რომ გამოვა, მერე ნახავთ, რაც მოხდება. ამათ ამერიკის იმედი ტყუილად აქვთ. საქმე საქმეზე როცა მიდგება, ამერიკა მათ პირველი შეაქცევს ზურგს.

— ***რატომ გგონიათ, რომ ამერიკა ზურგს შეაქცევს?***

— ეგვიპტეშიც ასე იყო. გავიხსენოთ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ამერიკას მუბარაქის მიმართ. ჯერ ამბობდა, ჩვენი საიმედო კაციაო. მერე ამბობდნენ, ოპოზიციამ და მუბარაქმა საერთო ენა გამონახონო. ხოლო როცა დაინახეს, რომ ამდენი ხალხი დაირაზმა მის წინააღმდეგ, გადადგომისკენ მოუწოდეს. ასევე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც. მერე ადგნენ გაბაშვილი და წიკლაური და იმ ცნობილი ღიმილით გაჰყვნენ სააკაშვილს უკან. სააკაშვილი აუცილებლად გაიქცევა. ამათ რაც არ უნდა უცინონ, თან არ წაიყვანს და ეგ ღიმილის სახეზე შეეყინებათ.

— ***იქნებ არ შეეყინოთ და ახალ ხელისუფლებასთანაც გამონახონ საერთო. ამ ადამიანებს გააჩნიათ იშვიათი ნიჭი იმისა, რომ ყველა ხელისუფლებას მოერგონ.***

— მე მახსოვს ეს ადამიანები ერთგულებას როგორ ეფიცებოდნენ ხან ზვიად გამსახურდიას და ხანაც შევარდნაძეს. ერთგულების ფიცი სააკაშვილსაც მისცეს. ახალ ხელისუფლებასაც სიამოვნებით შეჰფიცავდნენ, მაგრამ ველარ მოახერხებენ. იმიტომ, რომ ხალხმა მათი ნამდვილი სახე უკვე დაინახა. და აღარ მოითმინეს, რომ ისინი კიდევ ერთხელ ხელისუფლებაში მოხვდნენ. მათ აღარავინ დაუჯერებს, ისევე, როგორც დღეს აღარ სჯერათ სააკაშვილის პრუტუნის.

— ***პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს გიორგი თარგამაძეს კიდევ ერთხელ წამოაძახეს ასლან აბაშიძე და ბადრი პატარკაციშვილი. თარგამაძის მხარდამჭერი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ როდემდე უნდა აძახონ მას აბაშიძე და პატარკაციშვილი. თან ისე, რომ თავად არ გაიხსენონ დრო, როცა შევარდნაძის მზეს ფიცულობდნენ.***

— რაკი თარგამაძე ვახსენეთ, საპარლამენტო ოპოზიციის გამოსვლაც შევაფასოთ. მათ თითქოს მწვავე განცხადებები გააკეთეს. მათ ეს განცხადებები კარგა ხნით ადრე შეათანხმეს ნაციონალებთან. კითხვებიც და პასუხებიც წინასწარ იყო მოფიქრებული. ეს იყო სპექტაკლი. რაც შეეხება აბაშიძის და პატარკაციშვილის ხსენებას, ესენი ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები არ არიან. შესაბამისად მათ არ შეუძლიათ ვინმე ქვეყნის მტრად არ გამოაცხადონ. როგორც კი ვინმე გააქტიურდება, ეგრევე გამყიდველს და მტერს ეძახიან.



**ნაციონალებს 33 ირმაგარა უნდა ამოუვიდეთ ერთ ადგილას და მერე ვნახავთ, როგორ დასხდებიან თავიანთ სავარ ლებში**

რამდენიმე წლის წინ ებრალიძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტობაზე უნდა ვიყარო კენჭიო. ამაზე ერთი ამბავი ატეხეს, ხალხის მტერი და ათასი რამე უწოდეს. მერე ებრალიძემ თქვა, აღარ მინდა პრეზიდენტობაო და ის მტერი აღარ არის. ასევე გამოაცხადეს ხალხის მტრად იგორ გიორგაძე. რაც შეეხება აბაშიძეს, მასზე სააკაშვილს და ნაციონალებს დაპარაკის უფლება არა აქვთ. ამ კაცს აჭარაში ერთი გოჭი მიწა არ გაუსხვისებია. ამათ კიდევ მთელი აჭარა გაყიდეს! თან უსირცხვილოდ გვიმტკიცებენ — აჭარა ავაშენეთო. მე ორი დღის წინ ვიყავი ამ რეგიონში და აშენებული ვერაფერი ვნახე.

— ***არადა, ყველა ამბობს, რომ ბათუმში ძალიან დიდი მშენებლობები მიდის.***

— ჩემი საკუთარი თვალით ვნახე სააკაშვილის „აღმშენებლობა“. იცით, როგორი გადათხრილი იყო იქაურობა. მანქანით დავდიოდი და თირკმლები აღარ მივარგა. მთელი ქუჩები გადათხრილია. იქაურობა წყალს მიაქვს. მარტო ერთ ქუჩაზე კეთდება რაღაცა. იმასაც თურქები აკეთებენ. გააკეთეს რაღაცა ბაღი. სადაც გაგათბობის ბოძები დგას. გავარკვიე, რომ ხელისუფლებას ერთ თვეში ამ ერთი ბოძის შენახვა უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე ერთი ოჯახისა. მათთვის პიარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანი. აი, ეს არის მათი პოლიტიკა. სააკაშვილი ცდილობს, საქართველოსთვის მტკივნეულ თემებზე ხმა არ ამოიღოს. მან პარლამენტის წინაშე გამოსვლისას ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ტერიტორიულ მთლიანობაზე სიტყვა არ დაუძრავს.

— ***თქვენი აზრით, ეს შეგნებულად გააკეთა?***

— რა თქმა უნდა. ის შეეგუა ტერიტორიების დაკარგვას. ის ამ ტერიტორიების დაბრუნებას აღარ აპირებს. სწორედ ამიტომ თქვა, რომ დევნილები სხვადასხვა ადგილებში უნდა ჩავასახლოთო. ამით მან გასაგებად თქვა, რომ ტერიტორიებმა აღარ დაიბრუნებს. საქართველოში რომ ცხოვრება ჭირს, აღიარა. სამაგიეროდ სიტყვა არ უთქვამს, როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ვითარებიდან. თუ ეს არ იცის, მაშინ რა უნდა ხელისუფლების სათავეში. გაჭირვებას იმით ხსნის, რომ თურმე ჩინელები შემოვიდნენ და კიტრი და პამიდორი შეგვიჭამეს. რაღა გაჭირვებული ხალხისა შეჭამეს ამ ოხრებმა. როგორც ჩანს, კიდევ ბევრ კიტრსა და პამიდორს შეგვიჭამენ. სააკაშვილი ყველას აქ ეპატიჟება. თითქოს ჩინელები არ ეყოფოდა საქართველოს, ახლა ბურები ჩამოჰყავს. იცის კი ვინ არიან ეს ბურები? ისინი არიან გარყვნილი სექტანტები. ერთმანეთში გადადიან და გადმოდიან. აი, ასეთი ხალხი ჩამოჰყავს და უნდა, რომ საქართველო მოსპოს. საქართველოს მოსპობა ბევრს უნდოდა, მაგრამ ვერ მიიღო. ესენიც ვერ ეღირსებიან საქართველოს განადგურებას! საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მას უფალი ყოველთვის დაიფარავს. ქვეყნის გადასარჩენად ხალხიც უნდა დაირაზმოს. ჩვენც ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ეგვიპტელები და ტუნისელები.

— ***მერე არეულობა რა შედეგს მოუტანს ქვეყანას?***

— ორი წლის წინ ხალხი სამი თვე იყო გამოსული ქუჩაში. ჩვენ არავინ არ მოგვაქცია ყურადღება. იმიტომ, რომ მშვიდად ვიდექით. ქუჩაში თუ ხარ, მღელვარებაა საჭირო. სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა. ჩვენი ხალხი უკვე ისეა დაზაფრული, რომ არაფერს აღარ მოითმენს. ისედაც დიდი ხანი ვითმინეთ. ჩოხატაურში ერთმა იქაურმა ადამიანმა გადმომცა შესანიშნავი ცხრილი, სადაც ნათლად არის აღწერილი, თუ როგორ ხდება ქართველი ერის გენოციდი. ამას ყველა აცნობიერებს. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვა. საამისოდ ლიდერი აღარ დასჭირდება.

## სოჭთან ჩაძირული გემის ეკიპაჟის ქართველ წევრთა ვინაობა ცნობილია

სოჭის სანაპიროსთან შტორმში ჩაძირული გემის ბორტზე საქართველოს ოთხი მოქალაქე იმყოფებოდა.

რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები: ზაზა კეკელიძე, იმედა ქობულაძე და ჯიხან კიჩერი მაშველებმა ეკიპაჟის სხვა წევრებთან ერთად უკვე გადაარჩინეს. საქარველოს კიდევ ერთ მოქალაქეს, როლანდ ბერიძეს მაშველები ამ დრომდე ეძებენ.

ცნობისთვის: გემზე მყოფი ქართველები საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირების წევრები არ არიან და მათ შესახებ ბათუმში ინფორმაცია არ აქვთ.

შეგახსენებთ, რომ ტანზანიის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა კატრასტროფა დღეს გამთენიისას განიცადა. ბორტზე სულ 12 მეზღვაური იმყოფებოდა. საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, გემბანზე თურქები და აზერბაიჯანელებიც იყვნენ. მაშველებმა ათი ადამიანი გადაარჩინეს, კიდევ ორს ეძებენ.

სოჭის ოლიმპიადისთვის სამშენებლო მასალით დატვირთული ხომალდი თურქეთიდან რუსეთის მიმართულებით მიდიოდა.

**მედიანიუსი**

## „დემოკრატიული მოძრაობა“ 20-ლარიანი ენერგოვაუჩერის დარიგების პრინციპს აპროტესტებს

„დემოკრატიული მოძრაობა“ ელექტროენერგიის 20-ლარიანი ვაუჩერის დარიგების პრინციპს აპროტესტებს. როგორც პარტიის მთავარი საბჭოს წევრმა თამარ ცინცაბაძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული იდეა ისე შეიფუთა და განხორციელდა, რომ დაირღვა სამართლიანობის პრინციპი.

მისი თქმით, ვაუჩერის დაურიგდება ყველა ოჯახს, გარდა პასიური მომხმარებლისა, რაც ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ არამიზნობრივად და არაეფექტურად დახარჯა საბიუჯეტო სახსრები.

მისი განმარტებით, იმ ფონზე, როცა დახმარებას მიიღებენ ბანკირები, წარმატებული ბიზნესმენები, მინისტრები, პარლამენტარები - ოჯახები, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულები არიან და 6 თვის განმავლობაში 200 კილოვატი ელექტროენერგია არ აქვთ დახარჯული, რადგან გაჭირვების გამო ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეზოგათ ელექტროენერგია, ამ დახმარებას ვერ მიიღებენ. ცინცაბაძემ ასევე ისაუბრა ვაუჩერის ჩუქების მექანიზმზე და აღნიშნა, რომ ეს მექანიზმი იმდენად გართულებულია, რომ ადამიანს ამის გაკეთების შესაძლებლობას და სურვილს უკარგავს.

— არა და სხვა მხრივ, ვაუჩერის, როგორც დოკუმენტის საჭიროება, პრაქტიკულად არც არსებობს, რადგან სადისტრიბუციო კომპანია, ავტომატურად ჩამოგაჭრით აღნიშნულ თანხას. გამოდის რომ მაღალი ინფლაციის ფონზე, რისგან თავის დაღწევას ხელისუფლება ვერ ახერხებს, კვლავ არამიზნობრივად დაიხარჯა ათეულობით ათასი ლარი, რასაც ვაუჩერის დაბეჭდვასა და შემდგომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ მის დარიგებას დასჭირდა, — განაცხადა მან.

მისივე შეფასებით, ამ ღონისძიებით, მოგებული დარჩა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოიყენა საბიუჯეტო თანხები თავისი პიარკამპანიისთვის და ამომრჩევლებს თავი შეახსენა.

**ინტერპრესნიუსი**

## გლდანში ბუნებრივი აირით ორი ქალბატონი მოიწამლა

თბილისში, გლდანის პირველ მიკრორაიონში ბუნებრივი აირით ორი ხანდაზმული ქალი მოიწამლა. ქალბატონებს მეზობლების მიერ გამოძახებულმა მაშველებმა დროულად მიუსწრეს. კარების შემტვრევის შედეგად ბინაში შესულ სამაშველო ჯგუფს ქალბატონები უგონო მდგომარეობაში დახდვნენ. მაშველების თქმით, ბინაში გაზქურა იყო ჩართული. დაზარალებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მათ ლებინება და თავის ძლიერი ტკივილი აღენიშნებოდათ. ამ დროისთვის მოწამლულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

**მედიანიუსი**

# სკანდალი მხატვართა კავშირში

## როგორ გახდა გია ბუღა ე მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

ეკა ირემაშვილი

**სამხატვრო აკადემიის რექტორი, მხატვარი გია ბუღაძე, ხანგრძლივი და დაძაბული არჩევნების შემდეგ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გახდა. კავშირის თავმჯდომარეობისთვის გურამ ცერცვაძე, გია გუგუშვილი, გოგი გურასპაშვილი და გია ბუღაძე იბრძოდნენ. არჩევნების დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი გია გუგუშვილმა საკუთარი კანდიდატურა გია ბუღაძის სასარგებლოდ მოხსნა და თავისი შვიდი ხმა მას მიანიჭა. ამით გია ბუღაძემ გურამ ცერცვაძეს არჩევნები მოუგო და ხმათა უმრავლესობით მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გახდა.**



აზრთა სხვადასხვაობის გამო მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევნები ჩაშლის საფრთხის პირას იყო, მაგრამ საბოლოოდ კენჭისყრა მაინც მოხერხდა. „არტ ჰოლში“ შეკრებილი მსახიობები კავშირის განადგურებულ ქონებაზე, სოციალური შეღავათების არქონასა და სხვა პრობლემების გადაჭრაზე აქტიურად საუბრობდნენ. სხდომას „მხატვართა კავშირის“ წევრი და პარლამენტარი ნუგზარ ერგემლიძეც ესწრებოდა. სწორედ მას სთხოვეს მხატვრებმა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხელისუფლებასთან შუამდგომლობა.

სხვადასხვა პრობლემის განხილვისას მხატვრებმა რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა და რეპრესირებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალზეც ისაუბრეს. მხატვართა ნაწილმა გამარჯვებული პროექტი დაიწუნა და ხელახალი კონკურსის ჩატარებას მოითხოვა. ამ მემორიალის აღმართვა გორის ცენტრშია დაგეგმილი.

მხატვართა აზრით, კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული „თამარა სტუდიოს“ ნამუშევარი „ამაოებას არ ამოება“ კრიტიკას ვერ უძლებს და აღნიშნულმა პროექტმა ნაცნობობით გაიმარჯვა. მხატვართა კავშირმა გადაწყვიტა, ახალი მემორიალის შექმნაზე კონკურსი თავად გამოაცხადოს.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის შექმნაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კონკურსი 2010 წელს გამოაცხადა. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ერთხელ გადაიდო, ხოლო მეორედ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად მოქანდაკე თამარ კვესიტაძე დასახელდა. იგი ასევე ავტორია ბათუმში ზღვის პირას დადგმული ქანდაკებისა, რომელსაც პირობითად „ალი და ნინო“ შეარქვეს. „ამაოებას არ ამოება“ გორის ცენტრში შემოდგომაზე დაიდგმება. ეს განცხადება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გააკეთა. მინისტრის განცხადებით, ქანდაკებას ძალიან დიდი მხატვრული ღირებულება აქვს. ის ეკუთვნის მოქანდაკე თამარ კვესიტაძეს და ასახავს საწინააღმდეგოს ყველაფერ იმისა, რასაც სტალინის ქანდაკება ასახავდა. აქ გამოსახულია ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დინამიკურად მიემართებიან წინ. ეს ქანდაკება ეძღვნება არა მარტო 2008 წელს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულებს, არამედ რეპრესიების ყველა მსხვერპლს მსოფლიოში.

გაჭიანურებული კენჭისყრის გამო მხატვრების უმრავლესობამ „არტ ჰოლის“ შენობა დატოვა. თავმჯდომარეობის კანდიდატები საგანგებო ყრილობაზე სპეციალური პროგრამებით წარდგნენ. მხატვართა კავშირის თავმჯდომარის არჩევა კავშირის წევრების ხმათა უმრავლესობით მოხდა. მხატვართა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარე გია ჯანბერიძემ თანამდებობა 5 თვის წინ გამგეობის თხოვნით დატოვა. მხატვართა კავშირში 1.500 მხატვარია გაერთიანებული. უკვე რამდენიმე თვეა კავშირი ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი.

კავშირში არჩევნების შედეგების გამოცხადებას დარბაზში ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. არჩევნების შედეგები გააპროტესტა თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა გურამ ცერცვაძემ. მან გია გუგუშვილის გადაწყვეტილება გააკრიტიკა.

კავშირში გაერთიანებული მხატვრები ორგანიზაციის ხელმძღვანელს 10 საათზე მეტ ხანს ირჩევდნენ. არჩევნებში სულ 312 დელეგატი მონაწილეობდა. თავმჯდომარეობის თანამდებობაზე წარდგენილ ოთხ კანდიდატზე ხმები ასე გადანაწილდა — 131 ხმა გურამ ცერცვაძემ მიიღო, 127 — გია ბუღაძემ, 38 — გოგი გურასპაშვილმა, 7 ხმა კი — გია გუგუშვილმა. გია გუგუშვილის მიერ გია ბუღაძისთვის ნაჩუქარმა შვიდმა ხმამ ბუღაძეს 134 ხმა დაუგროვა, რის გამოც გია ბუღაძემ გია ცერცვაძეს არჩევნები მოუგო.

როგორც გია გუგუშვილმა განმარტა, თავისი კანდიდატურა მან იმ ჯგუფის სასარგებლოდ მოხსნა, ვისაც ყველაზე მეტად ენდობა.

— ჩემ მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების ნამდვილად არ მეშინია. მისი განხორციელება ნამდვილად შემიძლია, მაგრამ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხატვართა კავშირში არსებული მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის ფინანსური პრობლემები მოგვარდება, — განაცხადა გია გუგუშვილმა.

მხატვართა კავშირის იურისტ გიორგი ძიგუას განმარტებით, გია გუგუშვილი კანონიერად მოიქცა და, შესაბამისად, არჩევნების შედეგები ლეგიტიმურია.

გამარჯვებულმა გია ბუღაძემ ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

მხატვართა ნაწილი კი შედეგების გამოცხადებამდე აცხადებდა, რომ თუ კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე გახდებოდა, ისინი ორგანიზაციას დატოვებდნენ. ამის მიზეზად მხატვრები იმას ასახელებდნენ, რომ გურამ ცერცვაძე ერთი-ერთია კავშირის წინა ხელმძღვანელობიდან, რომელმაც აღნიშნული ორგანიზაცია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა, დაუყადალა ქონება და სახელმწიფოს წინაშე 170.000-მდე ლარის ოდენობის ვალი დაადო. 1996 წელს მხატვართა კავშირის სამდივნომ დააფუძნა შპს „საქართველოს მხატვარი“, რომელსაც შემდგომ მთლიანად გადაეცა მხატვართა კავშირის ქონება. შპს „საქართველოს მხატვარს“ კი ვალი დაედო და ამის გამო შესაბამისმა ორგანოებმა მხატვართა კავშირს ქონება მთლიანად დაუყადალეს.

წაგებულმა გურამ ცერცვაძემ კი აღნიშნა:

— ეს იყო ყოვლად სამარცხვინო არჩევნები. ასეთი გაყალბება არ შეიძლება! თვალსა და ხელს შუა გვატყუებენ! ამდენ მხატვარს, რომლებიც დღეს 400-მდე არიან და ძალიან იშვიათად იკრიბებიან კავშირში, თვალში ნაცარი შეაყარეს და მასხრად აიგდეს!

## დალაქებს გარანტირებული საგადასახადო შეღავათი აღარ ექნებათ

დალაქებს გარანტირებული საგადასახადო შეღავათი აღარ ექნებათ.

საგადასახადო კოდექსის ძველი რედაქციით, საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებული იყო ფიზიკური პირის მიერ თმის დაბანა, შესწორება და კრეჭა, დაწყობა, შეღებვა, შეფერადება, დახვევა, გასწორება და ანალოგიური სამუშაოები მამაკაცებისა და ქალებისთვის, აგრეთვე გაპარსვა და წვერის შესწორება.

ახალ საგადასახადო კოდექსში კი, აღარ არის ჩამოთვლილი ის საქმიანობები, რომლებიც შემოსავლის ოდენობის მიუხედავად, საშემოსავლო გადასახადისგან არიან გათავისუფლებულნი. ეს საქმიანობები წელს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა, თუმცა მასში დალაქები ველარ მოხვდნენ.

შესაბამისად, დამოუკიდებელ ფიზიკურ პირებს, რომლებიც დახმარების გარეშე ახორციელებენ თმის დაბანას, შესწორებას და კრეჭას, დაწყობას, შეღებვას, შეფერადებას, დახვევას, გასწორებას და აგრეთვე გაპარსვას და წვერის შესწორებას, მიკრობიზნესმენად დარეგისტრირება მოუწევთ.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მიკრო ბიზნესი საშემოსავლო გადასახადისგან არის გათავისუფლებული.

**ინტერპრესნიუსი**



## პარლამენტში გამართული დებატები ერთი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავას შეფასებით, 11 თებერვალს პარლამენტში საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის გამართული ე.წ. დებატები ერთი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, რომელიც მიზნად სააკაშვილის ხელისუფლებისთვის დემოკრატიულობის იმიჯის შექმნას ისახავდა.

როგორც გუგავამ „მედიანიუსს“ განუცხადა, საპარლამენტო ოპოზიციას თუ სააკაშვილი არ მოსწონს და მისი გადადგომა სურს, მაშინ ლეიბორისტული პარტიის მიერ პარლამენტში შეტანილ პრეზიდენტის იმპიჩმენტის დოკუმენტზე ხელი უნდა მოეწერა.

გუგავას შეფასებით, პარლამენტში დადგმული სპექტაკლი მდარე ხარისხის წარმოდგენა იყო.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივანი პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას გამოეხმაურა და მიხეილ სააკაშვილს ცრუ და მაოხრებელი უწოდა.

— ყველაფერში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც მიხეილ ცრუ და მაოხრებელი, რაშიც ეს კაცი მართლაც, უბადლო და ჩემპიონია. სააკაშვილის სიცრუე და ორპირობა ალბათ მსოფლიოში ყველა ცნობილ მატყუარას ერთად აღებულს აღემატება, — განაცხადა გუგავამ.

**მედიანიუსი**

## ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან გადადგა

ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ უნაისი თანამდებობიდან გადადგა, — „რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ ტუნისის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო იუწყება.

ტუნისელები შეაშფოთა უნაისის მიერ არაერთხელ გაკეთებულმა განცხადებამ, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მიშელ ალ-მარისთან შეხვედრაზე ოცნებობდა.

„ფრანს-პრესის“ მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებით, საფრანგეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ალ-მარის გადადგომა სურს. გარდა ამისა, საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი „ეჭვმიტანილია მეტისმეტად ახლო ურთიერთობაში“ ტუნისის ადმინისტრაციასთან.

14 იანვარს ტუნისში „ჟასმინების“ რევოლუცია მოხდა. ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილების შედეგად პრეზიდენტი ზინ ალ აბიდინ ბენ ალი ქვეყნიდან გაიქცა და ოჯახით თავი საუდის არაბეთს შეაფარა. ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავს.

**ინტერპრესნიუსი**

## ენერგეტიკის მინისტრსა და სამინისტროს სხვა თანამშრომლებს 2009-2010 წლებში პრემიები არ აუღიათ

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს და სამინისტროს სხვა თანამშრომლებს 2009-2010 წლებში პრემიები არ აუღიათ. ამის შესახებ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზისთვის მიწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციაში საუბარი.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის პროექტის ფარგლებში, ენერგეტიკის სამინისტროსგან ითხოვდა საჯარო ინფორმაციას მინისტრის და სამინისტროს თანამშრომელთათვის პრემიის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანებებს 2009-2010 წლებში.

— გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრისთვის ან სხვა თანამშრომელთათვის პრემიის დანიშვნის შესახებ ბრძანებები არ გამოცემულა, — ნათქვამია ოფიციალურ პასუხში, რომელსაც ხელს მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძე აწერს.

**ინტერპრესნიუსი**

## რიკოთზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა აკრძალულია

უამინდობის გამო რიკოთის უღელტეხილზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა აკრძალულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გზების დეპარტამენტში განუცხადეს, რიკოთის უღელტეხილზე მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია ასევე მისაქციელიდან ქუთაისის მიმართულებაზეც. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე ორხიდიანი და სამხიდიანი ავტომობილების მოძრაობა თავისუფალია, ხოლო სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით.

**ინტერპრესნიუსი**

## აბიტურიენტებს ონლაინ-რეგისტრაცია დღეიდან შეეძლებათ

აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის ინტერნეტით რეგისტრაცია დღეიდან შეეძლებათ.

ონლაინ-რეგისტრაციისთვის აბიტურიენტი უნდა ეწვიოს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდს. დღეს დაიწყება ასევე საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტების საგრანტო კონკურსისთვის რეგისტრაციაც, რომელიც 25 მარტს შეწყდება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის აზრით, ინტერნეტით რეგისტრაციის უპირატესობებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აბიტურიენტს შეუძლია არაერთხელ შეცვალოს საკუთარი არჩევანი რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე. გარდა ამისა, ინტერნეტით რეგისტრაციისას აბიტურიენტი მაქსიმალურად დაცულია მექანიკური შეცდომებისგან. ასევე, აბიტურიენტებს შეუძლიათ საკუთარ სკოლებში (სკოლადამთავრებულებმა რესურსცენტრებში) შეავსონ სარეგისტრაციო ანკეტა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჟურნალისტები და უფლებადამცველები საპროტესტო აქციას გამართავენ

დღეს ჟურნალისტები სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან, საპატიმროებში დაშვების მოთხოვნით ერთსაათიან საპროტესტო აქციას გამართავენ.

როგორც „მედიანიუსს“ სამოქალაქო მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ განუცხადა, ჟურნალისტებს უფლებადამცველი ორგანიზაციები და ადვოკატებიც შეუერთდებიან.

— ჟურნალისტებმა ხათუნა კალმახელიძის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაშვების მოთხოვნით განცხადება ერთი კვირის წინ გააკეთეს და მინისტრის სახელზე სამინისტროში წერილობითი მიმართვაც შეიტანეს. ისინი პასუხს პარასკევამდე ელოდებოდნენ, თუმცა მინისტრმა ჟურნალისტების თხოვნა უპასუხოდ დატოვა,— განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, როგორც ერთი კვირის წინ ჟურნალიტებმა განაცხადეს, ევროსტრუქტურებისთვის გასაგზავნად, იგივე მოთხოვნით, სპეციალურ მიმართვას მოამზადებენ.

ჟურნალისტების ამ მოთხოვნას საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ მსგავსად, უერთდებიან პატიმართა დახმარების საქველმოქმედო ფონდი და სამოქალაქო და პოლიტიკურ პატიმართა უფლებების დაცვის ფონდი.

შეგახსენებთ რომ, 7 თებერვალს ჟურნალისტების ნაწილმა — ირმა ინაშვილმა, შალვა რამიშვილმა და იმედა დარასელია, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს საპატიმროებში დაშვების თხოვნით მიმართა.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთში ოთხი რუსი რკინიგზელი დაიღუპა

სოხუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რუსეთის რკინიგზის დეპარტამენტის ოთხი თანამშრომელი დაიღუპა.

რუსული მედიის ცნობით, რუსი რკინიგზელები ავტომობილით აფხაზეთის სარკინიგზო ლიანდაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალიერებლად მიდიოდნენ, როდესაც ავარია მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი მძღოლი ჰოსპიტალიზებულია.

მომხდართან დაკავშირებით, სოხუმის დე-ფაქტო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიმდინარეობს გამოძიება, ავარიის გამომწვევი მიზეზები და გარემოებები ამ დრომდე დგინდება.

ცნობისთვის: რუსეთის რკინიგზის დეპარტამენტმა ოკუპირებული აფხაზეთის სარკინიგზო ქსელის რეაბილიტაციის მიზნით, 2 მილიარდი რუბლი გამოყო. სამუშაოებს თავად რუსები აწარმოებენ და ამ მიზნით აფხაზეთში 500-მდე რუსი რკინიგზელი ჩაიყვანეს.

აფხაზეთში რკინიგზის რეკონსტრუქცია თებერვლის დასაწყისიდან მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# ვინ არის ყველაზე კორუმპირებული საქართველოში

## რომელ ბიუჯეტში წერია სააკაშვილისთვის ეროტიკული მასაჟისტის ჩამოყვანა?

გულიკო ბალა ე

პარლამენტში გაკეთებულ ყოველწლიურ მოხსენებაში სასამართლო რეფორმის წარმატებაზე ისაუბრა. ამ სფეროს წარმატების მაჩვენებლად მან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემოღება დაასახელა.

მისი გამოსვლის წინა დღეს, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა და სააკაშვილის მისამართით კითხვებიც დასვა.

ზაზა ხატიაშვილმა ასევე წერილით მიმართა პარლამენტის უმცირესობის ლიდერს გიორგი თარგამაძესა და დიმიტრი ლორთქიფანიძეს. პარლამენტის სხდომაზე მათ გაახმაურეს ადვოკატთა პრობლემები. გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ადვოკატებთან დაკავშირებულ პრობლემებზე ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ და ევროპის ადვოკატთა ასოციაციამ დასკვნა დადო.

მიხეილ სააკაშვილი ზოგიერთ საკითხს გამოეხმაურა, მაგრამ ამ საკითხს საერთოდ არ შეეხებია. გაუგებარი დარჩა, ესეც „ტყუილ ინფორმაციად" მიიჩნია, თუ უბრალოდ წაუყრუა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე კი უკმაყოფილო დარჩა, რადგან სააკაშვილი ტაშის გრიალით გააცილეს — კრება დარჩა მხიარული, ხოლო ადვოკატები — თავიანთ პრობლემებთან პირისპირ. ხატიაშვილი ამბობს, რომ თუ ჩვენ გვინდა, ევროპული სახელმწიფო, ადვოკატებთან და ჟურნალისტებთან დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ.

***— ბატონო ზაზა, სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლით რამდენად კმაყოფილი დარჩით?***

— ბატონებს გიორგი თარგამაძესა და დიმიტრი ლორთქიფანიძეს წერილი მივწერე და ვთხოვე, თავის გამოსვლაში ყურადღება გაემახვილებინათ ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნაზე. მინდა ორივეს მადლობა ვუთხრა. გიორგი თარგამაძემ ისაუბრა ჩვენ მიერ შეთავაზებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებათა პაკეტზე, სადაც მითითებული იყო, რომ დარღვეულია მხარეთა თანასწორობის პრინციპები, რომელიც ევროკონვენციის მე-6 მუხლითაა გათვალისწინებული. მან გააკრიტიკა პარლამენტი, რომ ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივას პარლამენტი საერთოდ არ იხილავს. ასევე დიმიტრი ლორთქიფანიძემ ისაუბრა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვაზე, რომელმაც აღიარა, რომ საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა ხორციელდება.

***— სააკაშვილმა ვაზაგაშვილზე თქვა, ყაჩაღები დახოცესო...***

— ეს არის ვაზაგაშვილის შეურაცხყოფა. სააკაშვილი არის ადამიანი, რომელსაც საკუთარი ერი ეზიზღება. როგორ შეიძლება ადამიანები ჩახოცო, 150 ტყვია ესროლო, ხოლო შემდეგ მათ შეურაცხყოფა მიაყენო. დადასტურია, რომ ვაზაგაშვილს არავინ დაუყაჩაღებია. როცა ვაზაგაშვილს ედავებოდნენ, ლომბარდი დააყაჩაღაო, მისმა ოჯახმა წარადგინა მტკიცებულება, რომ იმ დღეს ზურა ქორწილში იყო. შემდეგ ეს ვერსია გამოძიებამ უკუაგდო. ამბობენ, ვაზაგაშვილი ყაჩაღი იყო და სახლის დასაყაჩაღებლად მიდიოდაო. ამ დროს, თვე-ნახევრის შემდეგ ძლივს „იპოვეს" ვიღაც ადამიანი, რომელიც თითქოსდა უნდა დაეყაჩაღებინათ, ე.ი. ჩასაფრება იყო და არ იცოდნენ დაზარალებული.ეს იყო განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. ყოფილმა სახალხო დამცველმა ბატონმა სოზარ სუბარმა ეს ფაქტი შეაფასა, როგორც სახალხო დახვრეტა. ვაზაგაშვილის შეურაცხყოფით სააკაშვილი ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ამ ცინიზმის, შეურაცხყოფისა და უნამუსობის გამო დაისჯება. ხომ დახვრიტე ეს ბიჭები, ახლა რატომღა ამბობ ამას? იმდენად ბოროტია, არ უნდა აღიაროს, რომ ეს ბიჭი დახვრიტესო და ამბობს, საღაჩაღოდ მიდიოდნენო. ყაჩაღები სააკაშვილმა თავის მთავრობაში მოიკითხოს. დეპუტატი გურამ ჩახვაძე რომ გააჩერა, ვინ არის კორუმპირებულიო, თვითონ სააკაშვილი არის კორუმპირებული. პირველი კორუმპირებულია თვითონ სააკაშვილი. მერე მოდის მთელი ბანდა თავისი ხელისუფლებიდან.

***— თქვენ რით ამტკიცებთ სააკაშვილის კორუმპირებულობას?***

— კორუფცია არ არის, ეროტიკული მასაჟისტი რომ ჩამოიყვანა სახელმწიფო თვითმფრინავით და მაგის დაცვა რომ დასდევდა? რომელ ბიუჯეტში წერია, სააკაშვილისთვის ეროტიკული მასაჟისტის ჩამოყვანა? რამდენიმე მილიონი რომ გადახარჯა და პარლამენტს რომ დაამტკიცებინა, ეგ არ არის კორუფცია? თუ ჰგონია, რომ ჩახვაძეს რომ შეეშინდა და ვერ თქვა, ისე შემეშინდება მეც. პირველი კორუმპირებული თვითონ არის.



***— როცა შევარდნაძის მთავრობაში ვიყავი, დავასახელე, ვის ჰქონდა დიდი სახლები, ვინ იყო ოლიგარქიო...***

— სახლი რად გინდა? თუ უნდა, სახლს კი არა, სასახლეებს აიშენებს. კაცმა გამოყო ბიუჯეტიდან და იმხელა სასახლე აიშენა. შევარდნაძე იჯდა კანცელარიის შენობაში. რამდენიმე ასეულობით მილიონი დაიხარჯა იმ სახლის აშენებაში, თვითონ რომ არის დაბრძანებული. ის თანხა სოფლის მეურნეობაში რომ ჩაედო, გლეხი ასეთი გაჭირვეული არ იქნებოდა, დღეს რომ არის. ამ ხელისუფლებაში სამი ყველაზე დიდი დამნაშავე პირია — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი. სააკაშვილმა ავლაბარში სასახლე აიშენა. მერაბიშვილმა პოლიციის ახალი შენობა აიშენა და ადეიშვილმაც ახალი აიშენა.

***— თავისი სასახლეები თუ აქვთ? ეგენი თავს იმით იმართლებენ, რომ მათი წასვლის შემდეგ ეს შენობები სახელმწიფოს დარჩება.***

— ადამიანი სასახლეს რომ ყიდულობს, მისი სიკვდილის შემდეგ თავის ნათესავებს რჩება.

***— ვიცით, რომ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მშვენიერი სასახლეები აიშენეს, მაგრამ კონკრეტულად, აღნუსხული არის?***

— მაგას სად იპოვი? თუმცა, სააკაშვილმა სახელმწიფო სახსრებით ეროტიკული მასაჟისტი რომ ჩამოიყვანა, ის ამბავი გასკდა. მისი ჩამოყვანა ძალიან სერიოზული თანხა ხომ დაჯდა. ბიუჯეტში სად არის გაწერილი, რომ ეროტიკული მასაჟისტი უნდა ჩამოიყვანოს პრეზიდენტმა? თქვენ იცით, რომ ნორმალური, დემოკრატიული ქვეყნების პარლამენტები იმას განიხილავენ, პრეზიდენტი კონკრეტული მანქანით რამდენი წელია სარგებლობს და შეიძლება იყიდოს თუ არა პრეზიდენტმა ახალი მანქანა? იცით, რომ სააკაშვილი ორი თვითმფრინავით დაფრინავს?

***— მგონი, ახლა კიდევ ახალ თვითმფრინავს ყიდულობს...***

— აქედან გამომდინარე, არის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა. იცით, ეს რამდენად დიდი კორუფციაა? კორუფცია მხოლოდ აშენებაა?

***— ბატონო ზაზა, ასე ამბობს სააკაშვილი...***

— კოტე კემულარია იყო მაგის კარზე ერთ-ერთი დაწინაურებული ადამიანი. მას პრეზიდენტის სახსრებიდან ლონდონში მერსედესი შეუძინეს. ეს ფაქტი ჟურნალისტებმა გამოააშკარავეს. ეტყობა, ჩახვაძესთან წინასწარ იყო შეთანხმებული, რომ ასე უნდა ეთქვა, შემდეგ სააკაშვილს უნდა გაეწყვეტინებინა, რომ დიპლომატების თვალში კარგად წარმოჩენილიყო. ეს იყო სუფთა დადგმული სცენა. ჩახვაძემ ვერ დაასახელა, ვინ იყო კორუფციონერი. თქვენ რომ იჭერთ, იქიდან ვიციო. სააკაშვილმაც, თითქოს სიტყვაზე დაიჭირა და თქვა კარგია, ჩვენ ინფორმაციას რომ ეყრდნობით, რომ კორუფციას ვებრძვითო. ცხადია, ეს იყო დადგმული სფენარი. თუ დააკვირდით, სააკაშვილმა ყველაფერზე გასცა პასუხი, გარდა ადვოკატების დევნის, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვნისა და ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა თანასწორობის უფლების დარღვევისა.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ?***

— სააკაშვილმა პასუხი ვერ გასცა, რადგან მე ზოგადად კი არ ვსაუბრობ, ვინ არ აკეთა, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების დასკვნა დავდე, რომ საქართველოში ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა მიმდინარეობს. პოსტსაბჭოურ სივრცეში არც ერთ ქვეყანაში — ვთქვათ, არც უზბეკეთში, არც აზერბაიჯანსა და არც ყაზახეთში ასეთი დოკუმენტი არავის დაუდია. აქედან გამომდინარე, სააკაშვილი ძალიან რთულ ვითარებაში ჩავარდება, რადგან უფრო რთული დასკვნებიც გაჩნდება.

***— ბატონო ზაზა, თქვენ დაიმუქრეთ, ნახავთ ამ დასკვნას, რომელიც ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ წარმოადგინა. ახლა ამბობთ, რომ კიდევ უფრო რთული დასკვნები გაჩნდება და სააკაშვილს პრობლემები შეექმნება. რას გეგმავთ?***

— ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვნას და შემდეგ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის რეაქციას, სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ადვოკატების ინსტიტუციონალურ დევნაზე მოუყრის თავს. ადვოკატთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდი რვიანის ქვეყნებს, ევროკავშირს, ევროსაბჭოს ადვოკატის ინსტიტუციონალურ დევნაზე მიმართვა გაუგზავნოს. ვაპირებ მივმართო ევროკავშირის თავმჯდომარეს და მოვითხოვო მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, კონსტანტინე კუბლაშვილისა და ხათუნა კალმხელიძის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება. ეს ხუთი ადამიანი, რომელიც ადვოკატთა კორპუსს დევნის, ევროკავშირის ტერიტორიაზე არ უნდა იქნენ შეშვებული. ევროკავშირმა ეს განაწყვეტილება უნდა მიიღოს. როცა იგივე რამ გააკეთა ლუკაშენკოს რეჟიმმა, ევროკავშირმა ისინი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. თუ ორმაგი სტანდარტებით არ მოქმედებენ, მაშინ სააკაშვილის რეჟიმს ევროკავშირმა, ევროსაბჭომ წერტილი უნდა დაუსვას. ევროპამ უნდა გაიგოს, სააკაშვილი რას აკეთებს. სანამ ადვოკატთა ასოციაციაში მე ვარ, „დემოკრატიის შუქურა" ვერ იშუქურებს. ადვოკატთა მიმართ ყველა დარღვევაზე ასოციაცია რეაგირებას მოახდენს. მე არ გავჩერდები, სანამ ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებს არ ექნებათ იგივე უფლებები, რაც აქვთ ევროპაში. საქართველოში სააკაშვილმა და ადეიშვილმა მოახდინეს კანონმდებლობის უზურპირება. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არის იმაზე უარესი, რაც იყო. მოხდა ადვოკატის როლის დაკნინება და განადგურება. როდესაც საკანონმდებლო ორგანოში ცვლილების განხორციელება ვითხოვე და ქრისტიან-დემოკრატებმა მხარი დამიჭირეს, ამას ყურადღება არავინ მიაქცია. ისე არის დღევანდელი რეჟიმი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ახლობლობით და შედეგად მიღებული დადებითი დასკვნებით გათავხედებული, მაგრამ ჩამოვიდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია და დაიდო დასკვნა.

***— დაცვა გყავთ?***

— რად მინდა დაცვა ჩემს ქვეყანაში? სააკაშვილი კი არ ვარ, ხალხის მეშინოდეს.

***— ისეთ ნაბიჯებს დგამთ და ისეთ დასკვნებს აკეთებთ, რომ შეიძლება საშიშროება დაგემუქროთ. ხელისუფლება შეეცდება შეებრძოლოს თქვენს ძალისხმევას, რეჟიმს საერთაშორისო დონეზე დასკვნებითა და დოკუმენტებით დაუპირისპირდეთ.***

— დაცვა სჭირდება იმ ადამიანს, ვინც არის საზოგადოების ხორცმეტი და მტერი. მე საზოგადოება მტრად არ აღმიქვამს.

***— თქვენ სერიოზულ ბრალდებებს უყენებთ ხელისუფლებას.***

— მე არ ბრალდებებსაც ვუყენებ, დასკვნით დადასტურდა.

# ვინ წარგვადგენს ევროვიზიაზე?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსისთვის საბუთების მიღება 10 თებერვალს დაასრულა. თავდაპირველად საბუთების მიღების ვადა 5 თებერვალს იწურებოდა, თუმცა ორგანიზატორებმა ვადა 5 დღით გაზარდეს. ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა მიიღო. საზოგადოებრივ მაუწყებელში ათეულობით განაცხადი შევიდა. მათ შორის ბევრი უკვე ცნობილი და საზოგადოებისთვის საყვარელი მომღერალია.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსი პირველად 1956 წელს ლუგანოში გაიმართა. გამარჯვება ლიზ ასიამ მოიპოვა. პირველ კონკურსში სულ შვიდი მონაწილე იყო. დებიუტანტი ქვეყნების სია კი ასე გამოიყურება — გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და შვეიცარია.

ევროვიზიის პირველ კონკურსზე დაშვებული იყო მომღერლების მხოლოდ სოლო შესრულება. ევროფესტივალში ავსტრიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და დანიამ მონაწილეობა ვერ მიიღეს, რადგანაც ამ ქვეყნების ტელეკომპანიებმა გვიან ჩაატარეს შესარჩევი კონკურსები. ევროვიზიამ თავის დროზე დიდი გასაქანი მისცა ისეთ ცნობილ მომღერლებს, როგორებიც ტოტო კუტუნიო და ჯგუფი „აბბა" არიან. დღეს ევროვიზია ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მის ფინალს მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს.

საქართველო ევროფესტივალში სულ რამდენიმე წელია ჩაერთო. პირველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნიდან ევროვიზიაზე სოფო ხალვაში იყო. მას შეენაცვლა დიანა ღურწკაია. სტეფანესა და სამი გოგოს გამარჯვებამ ევროვიზიაში უხერხულობა შექმნა. მათი სიმღერა „ვი დონტ ვონა პუტ ინ" რუსეთმა პოლიტიკურად მიიჩნია და ევროვიზიის ხელმძღვანელებს მოსთხოვა, საქართველოს წარმომადგენლებს სიმღერის ტექსტი შეეცვალათ, რაზეც სტეფანემ და სამმა გოგომ უარი განაცხადეს. ამის გამო საქართველო იმ წელს ევროფესტივალის მიღმა დარჩა. გასულ წელს საქართველო ევროვიზიაზე სოფო ნიჟარაძემ წარადგინა. თუ ვინ წარგვადგენს წელს გერმანიაში ევროვიზიაზე, ერთ კვირაში გაირკვევა.

როგორც ევროვიზიის

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# უორლდ პრეს ფოტოს მთავარი პრემია ავღანელი გოგონას ფოტოსურათმა მოიპოვა

თალიბი ქმრის მიერ მისგან გაქცევის მცდელობისათვის ყურ და ცხვირმოჭრილი ავღანელი გოგონას ფოტოსურათმა „უორლდ პრეს ფოტოს" მთავარი პრიზი დაიმსახურა.



სამხრეთაფრიკელი ფოტოგრაფის, ჯოდი ბიბერის მიერ გადაღებული ეს ფოტოსურათი ჟურნალმა „თაიმმა" გამოაქვეყნა. გოგონას მოგვიანებით ამერიკელმა ქირურგებმა აღდგენითი ოპერაცია გაუკეთეს და ამჟამად იგი აშშ-ში ცხოვრობს.

პრემიის ჟიურის წევრების თქმით, ეს ფოტო უჩვეულო სიძლიერით გამოირჩევა და იგი უჩვეულოდ ძლიერ სიგნალს უგზავნის მსოფლიოს მოსახლეობას, რომლის ნახევარსაც ქალები შეადგენენ.

„ეს ფოტოსურათი იმით არის ძლიერი, რომ მასზე საკუთარი ღირსების გრძნობით სავსე ქალი არის აღბეჭდილი" — აცხადებს პრემიის ჟიურის წევრი რუთ ეიჰორნი.

გასულ წლის ზაფხულში გამოქვეყნებული „თაიმის" ნომრის გარეკანზე აღბეჭდილი იყო 18 წლის აიშას ფოტოსურათი. სურათს წამძღვარებული ჰქონდა წარწერა, „რა მოხდება, ავღანეთს თუ დავტოვებთ".

ფოტომ და სათაურმა ფართო დებატები გამოიწვია, მათ შორის პოპულარული ჟურნალის გარეკანზე მსგავსი ხასიათის ფოტოსურათის გამოქვეყნების მართებულობასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდა ავღანელმა ქალმა მკითხველებს თავისი ისტორია უამბო. მისი თქმით, ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლებმა იგი „სისხლის ვალის" გამო გაასხვისეს, მოგვიანებით იგი თალიბმა მეომარმა შეირთო. აიშა 12 წლის ასაკში გაათხოვეს. ამ ქორწინებას ორი მოსისხლე კლანი უნდა შეერიგებინა, მაგრამ ქმრის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებმა იგი რატომღაც თავიდანვე აითვალწუნეს.

ახალი ნათესავების მხრიდან აგდებული დამოკიდებულების გამო აიშამ გაქცევა დააპირა.

იგი დაიჭირეს და ყანდაარის ქალთა ციხეში მოათავსეს. ეს დანაშაული სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ იგი მამას დაუბრუნეს, ხოლო მან ქმარს მიუყვანა.

ადგილობრივმა სასამართლომ აიშას დასჯა, ცხვირის და ყურების მოჭრა გადაწყვიტა. სასჯელი ქმარს უნდა აღესრულებინა. მან ძმასთან ერთად წაიყვანა იგი მთებში და ყურები და ცხვირი მოაჭრა.

„გონება დავკარგე, გონს ღამე მოვედი, იმ ადგილას სიცივის შეგრძნებით, სადაც ცხვირი უნდა მქონოდა. თვალები გავახილე, მაგრამ ვერაფერი დავინახე, მთელი სახე სისხლით მქონდა დაფარული.

აიშა მთებში მიატოვეს და სასიკვდილოდ გაწირეს, მაგრამ მან წამოდგომა და მშობლების სახლამდე მისვლა შეძლო. მამამ იგი ამერიკელთა სამხედრო ბაზამდე მიიყვანა, სადაც მას ორთვენახევრის განმავლობაში უვლიდნენ. შემდეგ აშშ-ის ხელისუფლებმა იგი ამერიკაში გადაიყვანეს, სადაც ამჟამად ახალ ოჯახში ცხოვრობს, რომელმაც იგი იშვილა.

ცხვირისა და ყურის პროთეზების წყალობით გოგონამ საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა. ამჟამად მას ადამიანის უფლებების დაცვა და ავღანეთში ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ფრიდონ სულაბერიძესა და ომარ მხეიძეს ვარსკვლავებს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ანსამბლების „რუსთავისა“ და „სუხიშვილების“ გვერდით ქართული ხალხური ცეკვების უბადლო შემსრულებლებს ფრიდონ სულაბერიძესა და ომარ მხეიძეს სახელობით ვარსკვლავებს გაუხსნიან. ვარსკვლავების გახსნის ინიციატორ დავით ოქიტაშვილის განცხადებით, ეს იდეა უკვე 11 წელია ცოცხლობს და ყველაფერი მხოლოდ ხალხის დამსახურებაა.

ფრიდონ სულაბერიძე წელს იუბილარია. მას 70 წელი უსრულდება. სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონმა ფრიდონმა ქორეოგრაფიული განათლება მიიღო. მოეწყო საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ ცეკვის ანსამბლში მოცეკვავე მსახიობად. ანსამბლთან ერთად ნამყოფია 60-ზე მეტ ქვეყანაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წლების მანძილზე ბატონი ფრიდონი იყო ფილარმონიის მსახიობ-მოცეკვავე. მან საუკეთესო წრთობა მიიღო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. იგი დღემდე ითვლება საქართველოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედ. დაუვიწყარია მის მიერ ვირტუოზულად შესრულებული ცეკვა „ქართული“ (დუეტი იამზე დოლაბერიძესთან განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, არტისტიზმითა და პლასტიციზმით. ქართული ცეკვის დიდოსტატები აღფრთოვანებით აღნიშნავენ „ფრიდონისეულ კინტაურს“ გასაოცარი კოლორიტულობითა და შესრულების გამორჩეული მანერით. ფრიდონ სულაბერიძეს მიღებული აქვს ცეკვა „ქართულის“ საუკეთესო შესრულებისათვის ოქროს მედლები და დიპლომები, ასევე საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. 1975 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სახელმწიფო აკადემიურ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავში“ მთავარ ქორეოგრაფად. ფრიდონ სულაბერიძეს აქვს საკუთარი ხელწერა, განსხვავებული საცეკვაო მანერა, მდიდარი ფანტაზია, იშვიათი გემოვნება. მისი დადგმული ცეკვები გამოირჩევა კომპოზიციის ორიგინალური გადაწყვეტითა და შესრულების მაღალი კულტურით. ფრიდონ სულაბერიძე იბრძვის ქართული ხალხური ცეკვის უძველესი ელემენტების აღდგენისა და კუთხური კოლორიტის შენარჩუნებისათვის. იგი ბევრს მუშაობს საშემსრულებლო სტილის სრულყოფისა და მოცეკვავეთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მოცეკვავეები ეუფლებიან ხალხური ცეკვის კუთხურ თავისებურებას. ფრიდონ სულაბერიძის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, „რუსთავი“ საფუძვლიანად დაეუფლა საქართველოს ცალკეული კუთხეების საცეკვაო ფოლკლორის მდიდარ მემკვიდრეობას, მის ჟანრულ ნაირსახეობას და იგი შესრულების უმაღლეს დონეზე აიყვანა, ამასთანავე, შეიძინა აკადემიური ანსამბლის საუკეთესო თვისებები. მის მიერ დადგმული ცეკვები თავისივე კუთხის სიმღერებითა და ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება. იგი ოსტატურად ახერხებს ცეკვების, სიმღერებისა და ხალხური საკრავების შერწყმას, რაც უფრო მეტად აძლიერებს ამ ცეკვისკუთხურ კოლორიტს. სწორედ ეს თვისება განასხვავებს „რუსთავს“ სხვა ანსამბლებისგან.

სულ ახლახან ანსამბლი გასტროლებზე იმყოფებოდა თურქეთის ქალაქ ერზრუმში, სადაც „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო ზამთრის უნივერსიადის გახსნაში. თურქეთამდე კი ანსამბლმა თავისი შემოქმედება იერუსალიმში, თელ ავივში, ჰერცლიაში, რეხობოთში, ჰაიფაში, კარმიელში და პეტახ-ტიკვაში წარმოადგინა.

25 მარტს კი დიდ საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი გაიმართება, სადაც თავად იუბილარი მოცეკვავეც იცეკვებს. ანსამბლის მოცეკვავეებმა სპეციალური ცეკვაც დადგეს, რომელიც ვარსკვლავოსან მოცეკვავეს მიეძღვნა. კონცერტის შემდეგ დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი გაიხსნება. ამის შემდეგ „რუსთავი“ გასტროლებისთვის დაიწყებს მზადებას. 5 მაისს ანსამბლი პოლონეთში, ქალაქ ჩენსტოხოვაში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს სასულიერო მუსიკის „ღმრთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“ 21-ე საერთაშორისო ფესტივალში, 28 მაისს კი ქართველ ხელოვანებს გერმანიის ქალაქ დრეზდენის ტაივანის თეატრი „ქლაუდ გეით დანსი“ ელოდება.

ფრიდონ სულაბერიძე არ მალავს, რომ ამ ამბის გაგებას ძილი და მოსვენება დაუკარგა. 70 წლის ხელოვანი განსაკუთრებულად ემზადება 25 მარტისთვის და ერთი სული აქვს, ეს დღე მშვიდობიანად და ლამაზად გადააგოროს.

მეორე ვარსკვლავოსანი მოცეკვავე ომარ მხეიძე სპეციალისტებისა და მაყურებლის მიერ შეფასებულია, როგორც ქართული ხასიათის განსახიერება, მფრინავი ვეფხვი და ანსამბლის არწივი. ხშირად აღიშნავენ, რომ მან ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში გმირის სახე შექმნა. მიჩნეულია, რომ ომარ მხეიძის ცეკვაში არ არსებობს შეუსრულებელი ილეთები.

ომარ მხეიძის პირველი პედაგოგი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ანტონ სხირტლაძე იყო. 1953 წლიდან ის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლის (ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი) სოლისტია. იმავე წელს სწორედ აქ შეამჩნიეს და სუხიშვილების ანსამბლში მიიწვიეს. ბრწყინვალე ქართული გარეგნობა, ინდივიდუალიზმი და არტისტიზმი, პლასტიკურობა, პროფესიის სიყვარული და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა მუდამ გამოარჩევდა ამ ნიჭიერ ხელოვანს. მისი ბიოგრაფიის ძირითადი ნაწილი ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლთანაა დაკავშირებული. 1984 წელს მან დატოვა მშობლიური ანსამბლი. ამჟამად ომარ მხეიძე თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრის კონსულტანტია. ომარ მხეიძემ უზარმაზარი როლი ითამაშა ქართული ხალხური ცეკვის განვითარების საქმეში. მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

როგორც ომარ მხეიძე აცხადებს, მისთვის ეს განსაკუთრებულად დიდი პატივია და თავი ჯერ კიდევ სიზმარში ჰგონია. მისთვის განსაკუთრებული ბედნიერებაა, ჰქონდეს ვარსკვლავი ისეთი ადამიანების გვერდით, რომლებიც მისთვის ამ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასნი არიან.

დათო ოქიტაშვილის თქმით, ეს ორი ადამიანი ნამდვილად გამორჩეული მოცეკვავეა, ამიტომ მათი სახელობის ვარსკვლავები დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ლეგენდარული ანსამბლების „რუსთავისა“ და „სუხიშვილების“ გვერდით სულ მალე ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

# გაეცანით თბილისის არქიტექტურულ მატიანეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ფონდი, რომელიც მოიცავს 1921-2001 წლებს და ნათლად ასახავს ამ პერიოდში დედაქალაქის არქიტექტურულ განვითარებას.

ფონდში შედის 45 533 საქმე. ფონდის შესახებ ინფორმაცია ეროვნული არქივის ფონდებისა და კოლექციების მიმოხილვის ფარგლებში ქვეყნდება. ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი სამმართველოს ფონდში დაცულია 1921-2001 წლებში თბილისში აშენებული თითქმის ყველა კაპიტალური ნაგებობის დოკუმენტები — მიწის გამომყოფი ბიუროს სხდომის ოქმები, აღმასკომის გადაწყვეტილებები მიწის გამოყოფისა და შენობის აგების შესახებ, შენობის პროექტები, ქალაქის მთავარი არქიტექტორის ბრძანება პროექტის შეთანხმების შესახებ, მშენებლობის პასპორტი, სხვადასხვა ტექნიკური დასკვნა თუ ანალიზი.

აღნიშნული ფონდის მასალებში ისეთი საინტერესო დოკუმენტებია, როგორებიცაა თბილისის განაშენიანების გენერალურ გეგმები, მთავრობის სასახლის, შოთა რუსთაველის სახელობის კინოთეატრის, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსის, კონსერვატორიის ახალი საკონცერტო დარბაზისა და სხვა მნიშვნელოვანი შენობის პროექტები; მიმოწერები დარეჯანის სასახლისა და გმირთა მოედნის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის შესახებ; ქალაქის ძველი უბნების რესტავრაცია; ქორწინების სასახლისათვის ადგილის შერჩევა; მასალები ქვაშვეთის ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის, რუსთაველის ძეგლის რესტავრაციის შესახებ.

ტექნიკური მასალების უმეტესი ნაწილი ასახავს თბილისში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ისტორიას. ფონდის მასალების გაცნობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უპრობლემოდ შეუძლია.

# „ანტისაბჭოური სიტყვიერება“ გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტისაბჭოური სიტყვიერების“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ფარგლებში რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაურიესტუმრნენ. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობაში საბჭოთა ეპოქის ბატონობის პერიოდთან დაკავშირებული ზეპირი ისტორიებისა და გადმოცემების ჩაწერას, რაც იმ დროისათვის ხალხში მხოლოდ ჩურჩულით ვრცელდებოდა.

სამწლიანი პროექტის ფარგლებში სამეცნიერო ჯგუფმა მოიძია საქართველოში კომუნისტური პერიოდისთვის დამახასიათებელი ანტისაბჭოური სიტყვიერების ნიმუშები და რამდენიმე ათეული ოჯახი, რომელთა ცხოვრებასა და ცნობიერებაზეც უშუალოდ აისახა ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკე.

პროექტის ფარგლებში მოძიებულ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით გამოიცა წიგნი „ანტისაბჭოური სიტყვიერება“, შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი და მომზადდა სამი მცირემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, სადაც გადმოცემულია საქართველოში 70-წლიანი დიქტატორული მმართველობა და იმდროინდელი საზოგადოების ტრაგიკული განცდები.

— პროექტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან იგი მოიცავს მხოლოდ რეალურ ფაქტებსა და ცნობებს გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე საქართველოს ყოფის შესახებ. ლიტერატურულ ნაშრომსა და დოკუმენტურ ფილმში ნათლად ჩანს, თუ რა ფორმებით ახორციელებდა ტოტალიტარული რეჟიმი ერისა და პიროვნების თავისუფლების ხელყოფას, — განაცხადა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა.

2006 წლიდან რუსთაველის ფონდმა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერების 12 პროექტი დააფინანსა, მათ შორის ცხრა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტია, ხოლო სამი — საკონფერენციო.

# ვინ წარგვადგენს ევროვიზიაზე?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

შიდაშესერჩევი კონკურსის პროდიუსერმა ნათია უზნაძემ გვითხრა, ევროვიზიაზე წასვლის მსურველებს საზოგადოებრივ მაუწყებელში უნდა წარედგინათ სპეციალურად ამ კონკურსისთვის შექმნილი სიმღერა ქართულ ან ინგლისურ ენაზე, რომლის ხანგრძლივობაც 3 წუთია.

შესული განაცხადებიდან ჟიური საუკეთესოს შეარჩევს და წარადგენს კონცერტზე, რომელიც თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება. ეროვნულ ფინალში გამარჯვებული წარადგენს საქართველოს გერმანიაში ევროფესტივალზე „ევროვიზია 2011“.

განაცხადების მიღების შემდეგ კი საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ფინალისტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა გაარკვია. შიდაშესარჩევი კონკურსის ფინალისთვის ორგანიზატორებმა ათი მონაწილე შეარჩიეს, კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა კი საზოგადოებრივი მაუწყებლის სააქტო დარბაზში გამართული კენჭისყრის შედეგად გადაწყდა.

სამი კვირის განმავლობაში საპროდიუსერო ჯგუფმა 50 განაცხადი მიიღო, მათგან კი ათი მონაწილე შეირჩა. საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ფინალურ ტურში გადავიდნენ სალომე კორკოტაშვილი, ნინი შერმადინი, ბორის ბედია, თაკო გაჩეჩილაძე, ქეთი ორჯონიკიძე, თემო საჯაია, ჯგუფი „ელდრინე“, ჯგუფი „ტკბილი ამბები“, დიტო ლაგვილავა და ჯგუფები „ნოვემბერ“, „თჰ ე გეორგიანს“.

ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის ფინალი 19 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ პავილიონში გაიმართება და მას პირველი არხი პირდაპირ ეთერში გადასცემს. საუკეთესოს ჟიური და მაყურებელი ხმის მიცემის თანაბარი უფლებით (50-50-ზე) გამოავლენს, კონკურსის ფინალურ ეტაპზე გამარჯვებული მომღერალი კი საქართველოს გერმანიაში ევროვიზიის კონკურსზე წარადგენს.


## განცხადებები

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერბშტადტი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: თენგიზი; 899-97-37-72 ნარგიზი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ამბოხებულმა პატიმრებმა შვილის გაუპატიურებისათვის დასჯილ პატიმარს თავი მოჰკვეთეს

ბრაზილიის ერთ-ერთ ციხეში მომხდარი ამბოხების შედეგად პატიმრები პირველ რიგში სქესობრივი დანაშაულის ჩამდენ პატიმრებს გაუსწორდნენ. მათ თავი მოკვეთეს პატიმარს, რომელიც საკუთარი ქალიშვილი გააუპატიურა. 12 წლიანი ძალადობის შედეგად გოგონას მამისაგან შვიდი შვილი შეეძინა.

55 წლის ხოსე აგოსტინიო პაერეირა პატიმრების მიერ დახოცილ ექვს პედოფილს შორის იყო. ისინი მარანაოს შტატის ქალაქ პინჰეიროს ციხეში მომხდარი ამბოხების დროს დახოცეს. მანიაკს განაჩენი 2010 წლის დეკემბერში გამოუტანეს, ასე რომ, ციხეში მან დიდხანს ვერ გაატანა.

გასული წლის ივნისში პერეიროს გაუპატიურების და თავისუფლების შეზღუდვის ბრალდებები წაუყენეს. პედოფილის მსხვერპლი მისივე ქალიშვილი შეიქნა, რომელიც 12 წლის განმავლობაში მამის ძალადობის ობიექტად რჩებოდა და 7 შვილი შეეძინა. მათგან ორი ასევე პერეირას ძალადობის ობიექტი გახდა.

ამ დანაშაულისათვის პერეირას 30 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მისი მოქმედებით აღშფოთებულმა პატიმრებმა პედოფილს სასჯელის მოხდის შესაძლებლობა არ მისცეს.

ამბოხება ორშაბათს დაიწყო, ადგილობრივი დროით 22:30-ზე. საბაბად იქცა ის, რომ ციხის დაცვამ რამდენიმე პატიმრის გაქცევის მცდელობა აღკვეთა. იმედგაცრუებულმა პატიმრებმა გადაწყვიტეს ჯავრი იმათზე ეყარათ, ვისი ადგილიც, მათი აზრით, ციხეშიც კი არ იყო.

პატიმრებმა იერიშით აიღეს საკანი, სადაც სქესობრივი მოძალადეები და პედოფილები იმყოფებოდნენ, ოთხ მათგანს თავი მოკვეთეს, ორი თვითნაკეთი დანებით მოკლეს. დახოცილთა შორის ხოსე პერეირაც აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ თვითნაკეთი დანები პატიმრებმა საკნების გისოსებისაგან დაამზადეს.

ხელისუფლების ვარაუდით, გაქცევის მიზეზად პატიმრებით ციხის გადატვირთულობა იქცა, სადაც 30 პატიმრისათვის გათვალისწინებულ ბლოკში სასჯელს 100 ადამიანი იხდიდა.

მოძალადეებთან ანგარიშსწორებისა და ხელისუფლების მხრიდან გარკვეული დათმობების შემდეგ ამბოხების ჩახშობა მოხერხდა. ადმინისტრაცია პატიმრებს პირობების გაუმჯობესებას, გარდა ამისა, პატიმრების ნაწილის სხვა ციხეებში გადაყვანას დაჰპირდა.

15-საათიანი მღელვარების მონაწილეებს სხვა მოთხოვნებიც ჰქონდათ წაყენებული. ისინი ყველა საკანში ტელევიზორის, დამატებითი ვენტილაციის, გარდა ამისა, შინ დამზადებული კერძების მიღების უფლებას მოითხოვდნენ. პატიმრებმა გარდა ამისა, ერთი კილოგრამი მარიხუანაც მოითხოვეს, რასაც ციხის ადმინისტრაციამ მაშინვე უარით უპასუხა.

ფერმერ ხოსე პერეირას მეტსახელად „ბრაზილიელი ფრიცლი“ და „მარანაოელი ურჩხული“ უწოდეს. იგი ავსტრიელ მანიაკს, იოზეფ ფრიცლს შადარეს, რომელსაც საკუთარი ქალიშვილი 25 წლის განმავლობაში სარდაფში ჰყავდა დატყვევებული რეგულარულად აუპატიურებდა. აქვე სარდაფში მის ქალიშვილს რამდენიმე შვილი შეეძინა, რომლებიც სიბნელეში იზრდებოდნენ. ამ



ჯურღმულის არსებობის შესახებ ფრიცლის მეუღლისათვის არაფერი იყო ცნობილი და იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი მრავალი წლის წინ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ხოსე პერეირა მეთევზეების მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა. ამ სოფლამდე მიღწევა მხოლოდ კანოეთი იყო შესაძლებელი. შვილის გაუპატიურება მან 1998 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ცოლი მიატოვა. იგი 2010 წელს ამხილეს. მისი „ოჯახის“ წევრები საშინლად გამოიყურებოდნენ, თითქმის შიშვლები იყვნენ, შიმშილით გამოფიტული და თითქმის არ ლაპარაკობდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მანიაკმა ჩვენების მიცემა დაიწყო და მისმა სიტყვებმა მთელი ბრაზილია შოკში ჩააგდო.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## ელიზაბეთ ტეილორი გულის უკმარისობის სიმპტომებით კლინიკაში მოათავსეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაემატა, სქოლიოზის და ხერხემლის მალებში ბზარების ჩათვლით.

ამის გამო ორგზის ოსკაროსანმა მსახიობმა გასულ ოთხშაბათს ნიუ იორკში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე დასწრება ვერ მოახერხა, სადაც მისთვის შიდსთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის ჯილდო უნდა გადაეცათ.

როგორც ამბობენ, ტეილორის სახელით ეს ჯილდო მუსიკოსმა ელტონ ჯონმა მიიღო.

კინოკარიერის განმავლობაში ელიზაბეთ ტეილორი 50-ზე მეტ ფილმშია გადაღებული. მათ შორის არის ისეთი ცნობილი ფილმები, როგორიცაა კლეოპატრა და „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“.

არანაკლებ სახელი მას პირადი ცხოვრების საინტერესო მომენტებმა მოუტანეს. ელიზაბეთ ტეილორი რვაჯერ იყო გათხოვილი, მათგან ორჯერ — რიჩარდ ბარტონზე. თავის დროზე მას ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მკურნალობის კურსი ჩაუტარეს, აწუხებდა ჭარბი წონა, გარდა ამისა, ოცამდე სხვადასხვა ოპერაცია აქვს გადატანილი.

## ადამიანები ინტერნეტით გამოქვეყნებულ ნებისმიერ სისულელეს იჯერებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბუდეებში კვერცხებით, გარდა ამისა, წვრილფეხა მღრღნელებით და ბაყაყებით იკვებებოდნენ.

სხვა ინფორმაციაში ლაპარაკი იყო ძაღლებისათვის განკუთვნილ საოცნებო კუნძულზე, სადაც ბედნიერად ცხოვრობდა 2 ათასზე მეტი ძაღლი. ამ კუნძულზე, ინტერნეტით გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ძაღლების საკბილოდ მრავალი კურდღელი ბინადრობდა, წყალმარჩხი მდინარეები კი თევზით იყო სავსე.

